ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

15 მარტიდან!
„ახალი თაობა"+
„ისტორია და ამოუცნობი სამყარო"
100 მეცნიერი, რომლებმაც შეცვალეს მსოფლიო
წიგნი და გაზეთი ერთად 10 ლარი




30 — 31 მარტი, 2013 №75 (6076) ფასი: 30 თეთრი



## პატრიარქი ბათუმში მეჩეთის აგების სანაცვლოდ თურქეთში ქართულ ტაძრებში წირვა-ლოცვის აღდგენას ითხოვს

გვ.3



## სოსო შატბერაშვილი: „ივანიშვილმა ვადამდელი არჩევნები უნდა დანიშნოს!"

გვ.2



გვ.4

## ჯონდი ბაღათურია: „რესპუბლიკელების გავლენის ქვეშ მოქცეული ივანიშვილი რეიტინგს კარგავს"

## „ქართულმა ოცნებამ" სამართლიანობის აღდგენა გადაიფიქრა



გვ.5

## ზაალ სამადაშვილი გადაყენებას გადაურჩა

გვ.6



## ხათუნა გოგალაძე: „ხდის ხეობაში ჰესის მშენებლობა სამინისტროს უარყოფითი დასკვნის გამო არის შეჩერებული"



გვ.3

ახორციელებს თუ არა კახა კალაძე ენერგეტიკის სამინისტროზე ზეწოლას

## არის თუ არა საქართველოში წითელას ეპიდემია



გვ.2



ISSN 1987-9385

გვ.7

## ვინ ბლოკავდა ცისანა ტატიშვილს?



## ბორის ბერეზოვსკი: მკვლელობა თუ თვითმკვლელობა?

გვ.11

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# სოსო შატბერაშვილი: „ივანიშვილმა ვადამდელი არჩევნები უნდა დანიშნოს!“

შორენა კოწოწაშვილი

**ყოფილი ლეიბორისტი სოსო შატბერაშვილი საპარლამენტო უმრავლესობას ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი საკითხების მიმართ უყურადღებობაში ამხელს და მიაჩნია, რომ კოალიცია დღეს უმცირესობასთან კინკლაობით უფრო მეტად არის დაკავებული, ვიდრე თუნდაც ისეთი მნიშვნელოვანი საკითხის განხილვით, რომელიც უცხოელებზე სასოფლო სამეურნეო მიწების მიყიდვის აკრძალვას ეხება.**

შატბერაშვილი უმრავლესობას ურჩევს, ხელოვნურად შექმნას საპარლამენტო კრიზისი და ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები დაინიშნოს.

რომელი მინისტრები უნდა შეცვალოს ბიძინა ივანიშვილმა და რატომ არის ქმედუუნარო ივანიშვილის მთავრობა? ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს პოლიტიკურ ჯგუფ „მემარცხენე ალიანსის“ წევრ სოსო შატბერაშვილთან.

***– ბატონო სოსო, როგორ შეაფასებდით საკონსტიტუციო ცვლილებების მიღების ფონზე პოლიტიკურ ფლანგზე შექმნილ ვითარებას? ფაქტია, დავით უსუფაშვილი პრეზიდენტის მიერ დაანონსებული ახალი ნაცმოძრაობის ნათლიად დასახელდა.***

– ამასთან დაკავშირებით ჩვენ განცხადება გავაკეთეთ და თქვენც გეტყვით, რომ პოლიტიკური გოლი „ქართული ოცნების“ კარში ნაციონალურმა მოძრაობამ მაშინ გაიტანა, როდესაც რეიტინგული გამოკითხვის ჩატარება აიძულა მმართველ პარტიას. ეს იმას ნიშნავდა, რომ ბიძინა ივანიშვილის სიტყვები, მისი პათოსი, რომლითაც ის გამოდიოდა კენჭისყრის წინ და ამბობდა, ჩვენ არ გვჭირდება ნაციონალური მოძრაობის მხარდაჭერა, ჩვენ გვაქვს საკმარისი და საკმარისზე მეტი ხმები იმისათვის, რომ მივიღოთ საკონსტიტუციო ცვლილებები და მეტიც, ხელისუფლება იმუქრებოდა, ვინც ხმას არ მოგვცემს, ის გაინადგურებს თავის მომავალს, ნაციონალური მოძრაობა განადგურდება, თავის ოჯახს ველარ დაენახვებიან ის დეპუტატები, ვინც ხმას არ მოგვცემს, აფეთქდება მთელი ევროპა პოლიტიკურად და ა.შ., საქართველოზე ხომ ლაპარაკი აღარ არის. ასეთი პათოსის შემდეგ, ძალიან მშვიდად და წყნარად, დავით უსუფაშვილმა დაუთმო ნაციონალურ მოძრაობას და კიდევ ერთხელ დააფიქსირა ნაციონალურმა მოძრაობამ, რომ ის არის გარკვეული ხმების მფლობელი, რომელიც საშუალებას არ აძლევს გამარჯვებულ მმართველ პარტიას, როგორც უნდა, ისე მიიღოს საკონსტიტუციო ცვლილებები. ანუ ნაციონალურმა მოძრაობამ საზოგადოებას კიდევ ერთხელ დაანახა, რომ ისინი არსებობენ და კიდევ ერთხელ წარმოაჩინეს თავი მთავარ ოპოზიციურ ძალად. ამ დროს ხალხი ნაციონალურ მოძრაობას ოპოზიციურ ძალად არ აღიქვამს. სამწუხაროდ, ეს არის ნაციონალური მოძრაობის გამარჯვება. ჩვენ ძალიან ვწუხვართ, რომ ნაციონალურმა მოძრაობამ აი, ასეთი მძიმე დარტყმა მიაყენა მმართველ პარტიას, რომელიც ხალხის ნებით არის მოსული და ხალხის ნებითვე, მათივე თქმით, აპირებდა ნაციონალური მოძრაობის დაუკითხავად, საკონსტიტუციო ცვლილებების მიღებას. ასე რომ, ეს არის ძალიან სამწუხარო ფაქტი და თან იმაზე მეტყველებს, რომ მმართველი პარტია ჯერჯერობით სუსტია.

***– ანუ სწორედ პრემიერ ივანიშვილის გუნდმა შეუწყო ხელი ნაციონალების მოძლიერებას პოლიტიკურ არენაზე?***

– პრაქტიკულად ხელახლა გაძლიერდნენ, მაგრამ ჩვენ ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი პარტია ვართ, მაგრამ ჩვენი პოლიტიკური ჯგუფის – „მემარცხენე ალიანსის“ სახელით უკვე გავაკეთეთ განცხადება და შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, მოვუწოდეთ მმართველი პარტიის დეპუტატებს, დადონ მანდატები, უარი თქვან დეპუტატობაზე და ხელოვნურად შექმნან საპარლამენტო კრიზისი, რაც საფუძველი გახდება ხელახალი, რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნების ჩატარებისა, რაც ნაციონალური მოძრაობის პოლიტიკური სიკვდილის ტოლფასი იქნება. ისინი 5%-ს ველარ გადალახავენ. შეელიონ ისინი მანდატებს და ხელოვნურად გამოიწვიონ რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნების ჩატარების აუცილებლობა. მეტსაც გეტყვით, არჩევნების შედეგები იქნება სულ სხვანაირი. შესაძლებელია „ქართული ოცნება“ ისევ უმრავლესობით მოვიდეს, მაგრამ იქ მოხვდება მრავალი არასაპარლამენტო პარტია, რომელიც დღეს პარლამენტს გარეთ არის. ანუ სხვა სურათი იქნება ახალი არჩევნების შემდეგ და რაც მთავარია, საკონსტიტუციო ცვლილების შემდეგ ნაციონალური მოძრაობის პრეზიდენტს აღარ ექნება უფლება დაითხოვოს მთავრობა, დანიშნოს ახალი მთავრობა და გაყალბებაში მიიღოს მონაწილეობა. აი, ეს იყო ჩვენი წინადადება.

***– ბატონო სოსო, თქვენ ვადამდელი არჩევნების აუცილებლობას ზოგადად ხედავთ თუ ამ საკონსტიტუციო ცვლილებებიდან გამომდინარე ფიქრობთ ამას? ცნობილია, რომ პრემიერიც და პარლამენტის თავმჯდომარეც აღიარებენ პარლამენტში პოლიტიკოსების სიმწირეს.***

– საქმე რაშია იცით? მე მესმის ბიძინა ივანიშვილის განცხადება, რომ უსუფაშვილმა მითხრა, რომ არც ერთი ცნობილი ფეხბურთელი, ცნობილი მსახიობი ან მოჭიდავე, ან სხვა ვინმე ხელოვანი არ ჩაწეროთ სიაში, რადგან პოლიტიკოსები არის საჭირო პარლამენტშიო. სწორედ იმიტომ მოხდა საკონსტიტუციო ცვლილებებთან დათმობა, რომ იქ არ არიან პრინციპული ადამიანები. გაერთიანება „ქართული ოცნება“ არის ეკლექტიკური. მასში არ არიან ცნობილი, გამობრძმედილი, მუშაობის უნარის მქონე პოლიტიკოსები. იქ არიან მხოლოდ მყვირალა სახეები. ამიტომაც ძალიან კარგად აცნობიერებს უსუფაშვილი, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე გამოცდილი პოლიტიკური ძალის – რესპუბლიკური პარტიის თავმჯდომარეა, რომ ეს ეკლექტიკური გაერთიანება, სამწუხაროდ, პოლიტიკურად ვერ უგებს, ვერც ინფორმაციულად ვერ უგებს ნაციონალურ მოძრაობას. იმიტომ, რომ ნაციონალური მოძრაობა ცუდია თუ კარგია, ერთ გუნდად შეკრულნი არიან და რაც მთავარია, პიარში საკმაოდ გამოცდილნი არიან. ამიტომ პიარკამპანიას ნაციონალური მოძრაობა ჯერჯერობით იგებს. გეთანხმებით, რომ ამას სააკაშვილიც კარგად გრძნობს და ივანიშვილიც. არ ვიცი, შუალედურ არჩევნებში ვინ გაიმარჯვებს, მაგრამ თუ „ქართული ოცნების“ ხალხმა გაიმარჯვა, ვერ გეტყვით, რამდენაც გამოცდილი იურისტები შევლენ. რომც იყვნენ, სამი კაცის შემომატებით, არა მგონია, რამე შეიცვალოს. ამიტომ ვითხოვთ რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნებს.



***– საპარლამენტო უმცირესობა ამტკიცებს, რომ ქვეყანაში ეკონომიკური წინსვლა შეჩერდა და საბიუჯეტო შემოსავლებმა იკლო. ამ ფონზე შესაძლებლად გეჩვენებათ, ივანიშვილი ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებზე წავიდეს?***

– თვითონ ივანიშვილმა განაცხადა, რომ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები თუ ჩატარდება, ფინანსებს მე გავიღებო. თუ პრემიერი ამ საკითხზე სერიოზულად საუბრობს და ის გაიღებს ახალი საპარლამენტო არჩევნების თანხებს, ეკონომიკას ამით არაფერ დააკლდება. ერთი რამეც უნდა ითქვას, ეკონომიკური ვარდნა ნამდვილად შეინიშნება. მე რამდენჯერმე გახლდით ბაზრობაზე და იქ მომუშავეებმა შემომჩივლეს: მუშაობა აღარ არის, მყიდველი აღარ არისო. ამიტომ უჭირთ ქირის და სახელმწიფო გადასახადის გადახდა. ხომ იცით, ბაზრობებზე ძალიან იოლად შეინიშნება ეკონომიკური რყევები.

***– რამდენად ქმედუნარიანია თქვენი შეფასებით საქართველოს მთავრობა და ხომ არ საჭიროებს ის უკვე საკადრო ცვლილებებს?***

– დავიწყოთ იმით, რომ მთავრობა ნამდვილად არაკომპეტენტურია, მიუხედავად იმისა, რომ ხალხის მანდატით აღჭურვილი მთავრობაა. როდესაც პრეზიდენტი სააკაშვილი გამოდის და აკეთებს განცხადებას და აღიარებს, რომ ადამიანებს ჩამოართვეს ქონება უკანონოდ და ეს მოახმარეს ხიდების მშენებლობას, შადრევნების მშენებლობას, ბათუმის აღმშენებლობას და ა.შ. ეს ხომ პირდაპირ დანაშაულის შემცველი განცხადებებია. ე.ი. პრეზიდენტმა აღიარა, რომ ნამდვილად არეკეტებდა ადამიანებს და ართმევდა პირად საკუთრებას. იმდენად არაკომპეტენტურია პროკურატურა, რომ არ შეუძლია ამაზე აღძრას საქმე და კონკრეტული დამნაშავეები მისცეს პასუხისგებაში. დღევანდელი მთავრობა რომ იყოს კომპეტენტური, ადამიანებს, ვისაც ქონება ჩამოართვეს, ან უკან დაუბრუნებდა ამ ქონებას, ან სათანადო კომპენსაციას გასცემდა. მე პირადად ძალიან დიდი პრეტენზიები მაქვს ამავე დროს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრთან. დარახველიძე ისეთ განცხადებებს აკეთებს, უბრალოდ, გაგეცინებათ. ამასწინათ ლტოლვილებს ხვდებოდა და როდესაც ლტოლვილებმა უთხრეს, ბინები აგვიშენეთო, მინისტრმა უპასუხა: ბინების მშენებლობის შესაძლებლობა რომ ყოფილიყო, წინა მთავრობა ხომ გააკეთებდაო. მინისტრი რომ ასეთ განცხადებას გააკეთებს, ეს უნდა გახდეს მისი დაუყოვნებლივ მოხსნის საფუძველი. ეს არის ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის მხრიდან აბსოლუტური დილეტანტობა და უვიცობა. ამავე დროს ძალიან არაკომპეტენტურია საგარეო საქმეთა მინისტრი ფანჯიკიძე. პრემიერის ადგილზე მე მასაც დაუყოვნებლივ შევცვლიდი.

***– მხოლოდ ეს ორი მინისტრია შესაცვლელი?***

– ვფიქრობ, დარახველიძე და ფანჯიკიძე პრემიერმა დროულად უნდა შეცვალოს.

***– სერიოზული პრეტენზიები ისმის მინისტრ ხათუნა გოგალაძის მისამართითაც. კომპეტენტური ადამიანები ამბობენ, რომ გარემოს დაცვის მინისტრს უყურადღებოდ აქვს დატოვებული ტყეები, სადაც უკონტროლო ჭრები მიდის.***

– გარემოს დაცვის სამინისტროს მიმართაც არსებობს პრეტენზიები. სწორედ ამიტომ ვითხოვთ ჩვენ რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნებს, რომ პარლამენტში იყოს სხვა ძალთა განლაგება. შესაბამისად, მთავრობაც სხვანაირი იქნებოდა. დარწმუნებული ვარ, ბიძინა ივანიშვილი სრულიად განსხვავებულ საპარლამენტო სიას შეადგენს. მრავალ პარლამენტარს, რომელიც დღეს კოალიციაშია და უსაქმურადაა, სიაში არ შეიყვანს. რაც შეეხება გარემოს დაცვას, უზარმაზარი პრეტენზიები გვაქვს გარემოს დაცვის სამინისტროს მიმართ. რაც სააკაშვილმა დააშავა და ტყეები გაყიდა და დაიწყო კაშხლების მშენებლობა, დემირელის კაშხალს ვგულისხმობ და კიდევ სვანეთში ახალი კაშხლის მშენებლობას, რითაც გაანადგურა სვანეთის ტყეები, ასევე წაბლნარი არის განადგურებული იმერეთში, რომლის გატანასაც საქართველოდან ლობირებდა სააკაშვილის ძმა. ჯერჯერობით არ ჩანს გარემოს დაცვის სამინისტროს მხრიდან ენერგიული ნაბიჯები, რომ ეს ყველაფერი გამოსწორდეს. გარემოს დაცვის მინისტრი უმოქმედოდაა, მით უმეტეს, რომ ჩვენ საკანონმდებლო ინიციატივით შესული ვართ პარლამენტში ამის თაობაზე. კიდევ ერთი საკანონმდებლო ინიციატივით შევედით ძველ პარლამენტში, რომელმაც არ განიხილა ჩვენი ინიციატივა და ახალი პარლამენტიც არ იჩენს ყურადღებას, რომ აიკრძალოს არასაქართველოს მოქალაქეებზე სასოფლო სამეურნეო მიწების გაყიდვა. ეს ჩვენისთანა პატარა ქვეყნისთვის ძალიან სერიოზული პრობლემაა და ეს თავის უარყოფით შედეგებს ძალიან მალე გამოიღებს.

# არის თუ არა საქართველოში წითელას ეპიდემია

მერი ნამორაძე

წითელას შემთხვევებმა უკვე 500-ს გადააჭარბა. ბოლო მონაცემებით საქართველოში დაავადების 504 შემთხვევა გამოვლინდა. აქედან უმრავლესობა 394 კვლავ თბილისზე მოდის. თუმცა, სერიოზულად გაიზარდა მაჩვენებლები რეგიონებშიც. დაავადების გამოვლენა ინტენსიურად თებერვლის ბოლოს დაიწყო. თუ მაშინ 98% კონცენტრირებული იყო თბილისში, დღეს უკვე 144 შემთხვევა დაფიქსირდა რაიონებში. მთავრობის 1 მარტის დადგენილებით, განხორციელდა ორმხრივი ინტერვენცია თბილისში ანუ აიცრა ყველა კონტაქტში მყოფი პირი. დღეისათვის ასეთი 1275 ადამიანია თბილისში 50 წლის ასაკის ჩათვლით და ყველა ბავშვი 7 წლის ასაკის ჩათვლით, ვისაც გამოტოვებული ჰქონდა ერთი ვაქცინაცია.



ამის შესახებ განცხადება დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა, ამირან გამყრელიძემ გააკეთა. სავალდებულო აცრების კალენდარში მოიაზრება ორი წითელას საწინააღმდეგოვაქცინაცია. ეს არის 12 თვის ასაკში და 5 წლის ასაკში. ანუ ყველა ბავშვი, ვისაც ერთი აცრა გამოტოვებული ჰქონდა, მშობლებს უნდა მიეყვანა პოლიკლინიკაში და აეცრა. გამყრელიძის ინფორმაციით, ამას გამწმენდ ოპერაციას ეძახიან, რომლის ფარგლებში 2230 ბავშვია თბილისში აცრილი. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის კონსულტანტები და აშშ-ს დაავადებათა კონტროლის წარმომადგენლობა აქტიურად მუშაობდნენ ქართველ სპეციალისტებთან ერთად რეკომენდაციების შემუშავებაზე, რათა ინტერვენციები გაგრძელებული იქნას რეგიონებშიც. ასე რომ, ინტერვენციის ღონისძიებები ორშაბათიდან თბილისს გასცდება და რეგიონებშიც გადაინაცვლებს. იგეგმება გარკვეული ფოკუს-ჯგუფების ვაქცინაციაც. უპირველესად ასეთი ჯგუფი სამედიცინო პერსონალი იქნება, რომელსაც ყველაზე ახლო შეხება აქვს წითელათი ინფიცირებულ ავადმყოფებთან. ეს დაავადება კი ადვილი გადამდებლობით გამოირჩევა.

– ჩვენ ვაქცინების მარაგის მობილიზაციას ვაკეთებთ, არის იმის მარაგი, რომ დავიწყოთ ფოცუს-ჯგუფის აცრა. რუტინული ვაქცინების პარტია გაეროს ბავშვთა ფონდის დახმარებით აპრილის ნახევარში შემოვა. დაგვეხმარება ასევე აშშ-ს დაავადებათა კონტროლის ცენტრი, რათა დამატებითი ჯგუფები აიცრას. დაახლოებით 80 ათასი ადამიანი უნდა იქნას აცრილი მომავალი 3 თვის განმავლობაში. გარდა ამისა, იმის გამო, რომ მოზრდილთა ასაკში – 15-დან 40 წლამდე ასაკის პირებში საკმაოდ დიდია მიმღებლობა, ანუ დაბალია იმუნური ფონი, რაც უკავშირდება 2008 წელს ქვეყანაში წითელა-წითურას საწინააღმდეგო ვაქცინაცის ჩცავარდნილ კამპანიას, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ შემოგვთავაზა მომზადდეს ისევ ერთი მასობრივი კამპანია ქვეყანაში, რამეთუ ჩვენ მივდივართ წითელას ელიმინაციის გზით ანუ 2015 წლისთვის წითელა უნდა აღმოიფხვრას ევროპაში და ამისათვის საჭიროა ქვეყანაში შეიქმნას მდგრადი იმუნური ფენა. ვიწყებთ სერიოზულ მუშაობას ამ კამპანიის მოსამზადებლად, რომელის რეგიონალური ხასიათის იქნება. ჩვენს მეზობლადაც აღინიშნება სერიოზულად – თურქეთშია, აზერბაიჯანში, ჩრდილო მეზობელთან. ასე რომ, რეგიონული პასუხი დაიგეგმება ჯანმო-ს და გაეროს სხვა საagentoების მიერ ამ საკითხზე, – აღნიშნა გამყრელიძემ.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალაბაძე
სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეჟავაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# პატრიარქი ბათუმში მეჩეთის აგების სანაცვლოდ თურქეთში ქართულ ტაძრებში წირვა-ლოცვის აღდგენას ითხოვს

შორენა მარსაგიშვილი



თურქეთი საქართველოს ძმობას და მეგობრობას ეფიცება. თუმცა ამავე ფიცის ფონზე საქართველოსგან აჭარაში კიდევ ერთი მეჩეთის აშენებას გვთხოვს. არადა, აჭარაში დღეისათვის 150-მდე მეჩეთი და ორჯერ მეტი მედრესეა. მაშინ, როცა მართლმადიდებლური ეკლესიების რაოდენობა 40-ს არ აღემატება.

აზიზიეს მეჩეთის თემა აქტუალური 2 წლის წინ გახდა. თურქულ მხარესთან სააკაშვილის ხელისუფლებამ ფარული შეთანხმებაც გააფორმა. ამ შეთანხმების თანახმად, თურქეთი მხოლოდ მეჩეთის აშენების შემთხვევაში თანხმდება მის ტერიტორიაზე მოქცეული ქართული ეკლესიების აღდგენას.

გასულ წელს ამ თემაზე დიდი ვნებათაღელვა იყო ატეხილი. ის ხალხი, ვინც შარშან აზიზიეს მეჩეთის აშენებას აპროტესტებდა, ახლა ჩუმად არის. ეს ადამიანები ახლა პარლამენტში სხედან და ქართულ ოცნებას წარმოადგენენ. დუმილი კი იმიტომ არჩიეს, რომ მეჩეთის აშენებას მათი ლიდერი ბიძინა ივანიშვილიც დათანხმდა.

ამ დღეებში საქართველოს თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ახმედ დავითოღლუც ესტუმრა. ის ქვეყნის პირველ პირებს შეხვდა. მას საქართველოს პატრიარქთანაც ჰქონდა შეხვედრა. ცნობისათვის, საქართველოს საპატრიარქო ამ მეჩეთის აშენებას ცუდი თვალით უყურებს.

პატრიოტულ-მართლმადიდებლური ორგანიზაცია კავკასიონის" პრეზიდენტი ჰენრი დოლიძე ფეისბუქში" ავრცელებს ინფორმაციას, რომ პრემიერს, თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრსა და კათოლიკოს-პატრიარქს შორის გუშინ, ღამის საათებში, დახურული შეხვედრა შედგა.

„ახალი თაობა" უცვლელად გთავაზობთ ჰენრი დოლიძის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას, რომელიც მან „ფეისბუქის" საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნა.

– შედგა ბიძინა ივანიშვილის, თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრის და საქართველოს პატრიარქის ილია მეორის შეხვედრა თურქეთში მდებარე ქართული კულტურული მემკვიდრეობის აღდგენისა და გახმაურებული აზიზიეს მეჩეთის თაობაზე. მისი უწმინდესობის ლოცვა-კურთხევით და საზოგადოების აზრის გათვალისწინებით, ახალი მეჩეთის აშენება მოხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თურქეთში მდებარე ქართულ, მართლმადიდებლურ ტაძრებში ნებას დართავენ საქართველოს საპატრიარქოს აამოქმედოს წირვა-ლოცვა, რაზეც თურქეთის მხარემ უარი განაცხადა. ასე რომ, ქართველი მუსლიმანებისთვის მოხდება მეჩეთის ადგილზე გაფართოება. მადლობა უწმინდესს, საზოგადოებას, აჭარის მწერალთა კავშირს და, რა თქმა უნდა, იმ პოლიტიკურ ფიგურებს, ვინც ასეთი გონივრული გადაწყვეტილება მიიღო, – წერს ჰენრი დოლიძე.

ვნახოთ, რა გადაწყვეტილებას მიიღებს საერო ხელისუფლება. ხელისუფლების ძალიან ბევრი წარმომადგენელი ამ მეჩეთის აშენებაზე ოცნებობს. ვის და რას უმტკიცებენ ამით, ვერაფერს გეტყვით.

# რესპუბლიკელებს იეღოველების მფარველობაში ადანაშაულებენ

### პარტია მოძრაობა „ლაზარესგან" ბოდიშის მოხდას მოითხოვს

შორენა მარსაგიშვილი

ჩვენი საზოგადოებისთვის უკვე ცნობილია, რომ მიმდინარე წლის 7 აპრილს თბილისში იეღოველების საერთაშორისო კონგრესის ჩატარება იგეგმება. დაუზუსტებელი ინფორმაციით თავყრილობა სპორტის სასახლეში გაიმართება. 4 აპრილს ამ ღონისძიებასთან დაკავშირებით რამდენიმე ორგანიზაცია სპეციალურ გადაწყვეტილებას მიიღებს.

ექსპერტების ნაწილი შიშობს, რომ კონგრესს შესაძლოა შეხლა-შემოხლა მოჰყვეს. ამ საქმეზე დაპირისპირება უკვე დაწყებულია. საზოგადოებრივი მოძრაობა „ლაზარე" და რესპუბლიკური პარტია ერთმანეთს სერიოზულად დაუპირისპირდნენ.

28 მარტს 23 საათზე მოძრაობა „ლაზარეს" პრესცენტრმა გაავრცელა სპეციალური განცხადება. ეს განცხადება პირველმა სააგენტომ „ნიუსპოსტი" გამოაქვეყნა.

– მოძრაობა „ლაზარე" საყოველთაო სახალხო განგაშს ტეხს! როგორც დაზუსტებული ინფორმაციით გვაცნობეს, 7 აპრილს– ხარება დღეს, უმრავლესობის დეპუტატისა და პარლამენტის თავმჯდომარის მეუღლის - თინა ხიდაშელის ხელმძღვანელობით, სპორტის სასახლეში „იეღოველთა მსოფლიო კონგრესის" ჩატარება იგეგმებოდა. რამდენადაც მოძრაობა „ლაზარესთვის" ცნობილია – სპორტის სასახლის ადმინისტრაცია ეწინააღმდეგება ამ ღონისძიების ჩატარებას. ამდენად, მისი ჩატარება მარნეულში გადაწყდა.

საზოგადოებრივი მოძრაობა „ლაზარე" გამოთქვამს უკიდურეს აღშფოთებას და პროტესტს „რესპუბლიკური პარტიის" ლიდერის, თინა ხიდაშელის მიერ, ამ ინიციატივის გამო. თვლის, რომ არც ერთ პოლიტიკურ პარტიას (თუნდაც უმრავლესობით მოსულს) არა აქვს უფლება, სამოციქულო მართლმადიდებლურ ეკლესიისა და ქართველ ხალხთან შეთანხმების გარეშე მსგავსი ღონისძიების ორგანიზების დაგეგმვა. 7 აპრილს – ხარება დღეს ამ ღონისძიების დაგეგმვის მცდელობა კი, სხვა არაფერია, თუ არა „რესპუბლიკური პარტიის" მხრიდან კიდევ ერთხელ საქართველოს ისტორიული და ტრადიციული რელიგიის ხელყოფის მცდელობა; მართლმადიდებელი ქართველი ხალხის რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფა და ქართველი საზოგადოებისთვის მიუღებელი „იეღოვას მოწმეთა სექტის" აღზევების სურვილი!

მსგავსი ღონისძიებების დასაფინანსებლად კი, უცხოელი დონორებიც ალბათ მილიონებით დოლარებს გაიღებენ, რათა მერამდენედ სცადონ საქართველოში მართლმადიდებლური ცნობიერების საფუძვლების შერყევა. ვაცხადებთ პროტესტს, რომ უმრავლესობის წევრების მხრიდან მსგავსი ქმედებები არ ნიშნავს „დემოკრატიული ფასეულობების" ერთგულებას! ეს მხოლოდ და მხოლოდ ქართული სამოციქულო ეკლესიისთვის ძირგამომთხრელ საქმიანობას ემსახურება! – ნათქვამია „ლაზარეს" განცხადებაში.

ამ განცხადებას თინა ხიდაშელი „ფეისბუქის" მეშვეობით გამოეხმაურა. ის წერდა, რომ საშინლად იყო აღშფოთებული. რესპუბლიკურმა პარტიამ გუშინ უკვე საგანგებო განცხადება გაავრცელა.

საქართველოს რესპუბლიკური პარტია საზოგადოებრივი მოძრაობა „ლაზარესგან" დაუყოვნებლივ ბოდიშის მოხდას მოითხოვს.

განცხადების თანახმად, 29 მარტს, გვიან ღამით, ერთ-ერთმა მედიასაშუალებამ გაავრცელა ინფორმაცია, სადაც ნათქვამია, რომ მოძრაობა „ლაზარეს" ინფორმაციით, ხარების დღესასწაულზე თინა ხიდაშელი „იეღოველთა კონგრესს" ატარებს.

– აღნიშნულ ინფორმაციას სხვა მედიასაშუალებებიც გამოეხმაურნენ და აღნიშნული ტექსტი საზოგადოების ნაწილის განხილვის საგანი გახდა. რესპუბლიკური პარტია მოითხოვს, რომ საზოგადოებრივმა მოძრაობა „ლაზარემ" დაუყოვნებლივ მოიხადოს ბოდიში რესპუბლიკური პარტიისა და მისი ერთ-ერთი ლიდერის თინა ხიდაშელის შესახებ ცრუ ინფორმაციის გავრცელებისა და საზოგადოების შეცდომაში შეყვანისათვის, – ნათქვამია რესპუბლიკური პარტიის განცხადებაში.

# ხათუნა გოგალაძე: „ხდის ხეობაში ჰესის მშენებლობა სამინისტროს უარყოფითი დასკვნის გამო არის შეჩერებული"

### ახორციელებს თუ არა კახა კალაძე ენერგეტიკის სამინისტროზე ზეწოლას

შორენა მარსაგიშვილი

ერთი კვირის წინ საქართველოს ენერგეტიკის მინისტრი და იმავდროულად ვიცე-პრემიერი კახა კალაძე ყაზბეგის რაიონს ესტუმრა. ის არც ადგილობრივ ხელისუფლებას შეხვედრია და არც მოსახლეობას. პირდაპირ დარიალის ხეობაში ჩავიდა და ჰესის მაშენებლებს შეხვდა. მოგეხსენებათ, რომ იქ რამდენიმე ჰესი შენდება. ჰესების აშენებას გარემოსდამცველები ეწინააღმდეგებიან. ამისთვის ანგარიში არც ნაციონალებს გაუწევიათ და არც მეოცნებეები უწევენ. არადა, ქართული ოცნება წინასაარჩევნოდ სხვა დაპირებას იძლეოდა.

კალაძის ყაზბეგურ ვოიაჟამდე ცოტა ხნით ადრე გარემოს დაცვის სამინისტრომ დადო დასკვნა. ამ დასკვნის გამო ხდის ხეობაში ჰესის აშენება აიკრძალა.

ყაზბეგში ჩასული კალაძე კი მეჰესეებს ჰპირდებოდა, აუცილებლად გაიცემა ნებართვაო. საინტერესოა, რა იცის კალაძემ, რომ ნებართვა გაიცემა. ეკოლოგები ამბობენ, რომ ხდის ხეობაში ჰესის აშენება არ შეიძლება.

ამ თემაზე გუშინ საქართველოს გარემოს დაცვის მინისტრმაც ისაუბრა.

– ყაზბეგის მუნიციპალიტეტში, ხდის ხეობაში „ყაზბეგი ჰესის" მშენებლობა გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ უარყოფითი დასკვნის გაცემის გამო არის შეჩერებული. ჩვეულებრივი პროცედურაა ის, რომ გარკვეული კატეგორიის საქმიანობების დასაწყებად ნებართვის მისაღებად გარემოს დაცვის სამინისტროს მიმართავენ. ჰესებიც სწორედ იმ ჩამონათვალშია, რომელთა მშენებლობისთვისაც დადებითი ეკოლოგიური დასკვნა უნდა გაიცეს. გარემოს დაცვის სამინისტრომ ხდის ხეობაში არსებული ჰესის მშენებლობაზე უარყოფითი დასკვნა მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ გასცა, რომ გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტი წაყენებულ მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებდა. შესაბამისად, იქ მშენებლობა არ მიმდინარეობს. ეს ჩვეულებრივი, ყველა ქვეყანაში დადგენილი პროცედურაა, – აღნიშნა ხათუნა გოგალაძემ.

როგორც სამინისტროს განცხადებაში არის აღნიშნული, ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ წარმოდგენილ შპს „ყაზბეგი ჰესის" მდინარე ბროლისწყალზე 6 მეგავატი სიმძლავრის ყაზბეგი ჰესის მშენებლობისა და ექსპლუატაციის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშზე ეკოლოგიური ექსპერტიზის უარყოფითი დასკვნა გაიცა. ამის მიზეზი ის იყო, რომ ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების მიზნით წარმოდგენილი გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში ვერ პასუხობდა საქართველოს გარემოს დაცვის მინისტრის 2011 წლის 4 ოქტომბრის 14 ბრძანებით დამტკიცებული „გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ" დებულებით დადგენილ მოთხოვნებს.

„ყაზბეგი ჰესის" პროექტი „დარიალი ჰესის" და „ლარსის ჰესის" დერივაციულია და მდინარის წყლის 90 პროცენტის მილსადენში მოქცევას ითვალისწინებს. ჰესის მშენებლობას ეწინააღმდეგებოდნენ გარემოსდაცვითი ორგანიზაციები: „მწვანე ალტერნატივა", „სტეფანწმინდა", „მწვანეთა მოძრაობა – დედამიწის მეგობრები", „ნაკრესი" და სხვები.

ამ პრესკონფერენციამდე ცოტა ხნით ადრე მცხეთა-მთიანეთის საინფორმაციო ცენტრმა მნიშვნელოვანი მასალა გამოაქვეყნა, სადაც კალაძეს გარემოს დაცვის სამინისტროზე ზეწოლაში სდებდნენ ბრალს.

საინფორმაციო ცენტრის ცნობით, გარემოსდამცველები ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრ კახა კალაძეს გარემოს დაცვის სამინისტროზე ზეწოლაში ადანაშაულებენ. „მწვანე ალტერნატივას" წარმომადგენლის ირაკლი მაჭარაშვილის განცხადებით, მინისტრი კალაძე და მისი მოადგილეები ხშირად აკეთებენ ისეთ განცხადებებს, რომელიც მათ კომპეტენციაში არ შედის და გარემოს დაცვის სამინისტროს უფლებამოსილებაში იჭრებიან.

გარემოს დაცვის სამინისტრომ, 20 მარტს, ხდის ხეობაში, „ყაზბეგი ჰესის" მშენებლობასთან დაკავშირებით უარყოფითი ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა გასცა. „ხდის ხეობა ჯიხვების მნიშვნელოვანი თავშესაფარია და მათი რიცხოვნობა საკმაოდ დაბალია. დაგეგმილი საქმიანობის განხორციელება მოიცავს ბურღვა-აფეთქებით სამუშაოებს და სამშენებლო ხმაურს. დეტალურად არ არის შესწავლილი საპროექტო ზონაში, იქტიოფაუნის, ფლორის და ფაუნის შესახებ ინფორმაცია, განსაკუთრებით კი წითელ ნუსხაში შეტანილი სახეობები", – აღნიშნულია სამინისტროს დასკვნაში. აქამდე, გარემოს დაცვის სამინისტრო ყველა ჰესის მშენებლობის პროექტზე დადებით დასკვნებს გასცემდა.




უარყოფითი ეკოლოგიური დასკვნის გასაჯაროებიდან მესამე დღეს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი კახა კალაძე ჰესების მშენებელი კომპანიის, შპს „ფერის" მიწვევით ყაზბეგში ავიდა და დარიალიჰესის და ლარსიჰესის მშენებლობა დაათვალიერა.

– გარემოს დაცვის სამინისტრომ უარყოფითი შეფასება მისცა „ყაზბეგი ჰესის" გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტს, რომელიც ინვესტორმა წარმოადგინა. არსებობს შენიშვნები, ინვესტორი გაითვალისწინებს ალბათ ამ შენიშვნებს, მომავალში ისევ შეიტანს შესწორებული შენიშვნებით ამ დოკუმენტს გარემოს დაცვის სამინისტროში და დარწმუნებული ვარ, მიიღებს მშენებლობის ნებართვას, – განაცხადა ენერგეტიკის მინისტრმა კახა კალაძემ.

„ყაზბეგი ჰესთან" დაკავშირებით გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე კომენტარი კომპანია „ფერის" ხელმძღვანელმა ლაშა იორდანიშვილმაც გააკეთა. მისი თქმით, ხდის ხეობაში ჰესის მშენებლობაზე ნებართვის მიღების მიზნით, კომპანია გარემოს დაცვის სამინისტროში ახალი დოკუმენტის წარდგენას აპირებს. „ვაპირებთ ახალი დოკუმენტის შექმნას, რადგან მემორანდუმით აღებული და ნაკისრი გვაქვს ვალდებულებები სახელმწიფოსთან ჰიდროელექტროსადგურის დასრულებაზე. უკვე დახარჯულია საკმაო რაოდენობის თანხები. მოსამზადებელი სამუშაოები საკმაოდ კარგად არის შესრულებული. იმედი მაქვს, მოკლე ხანში შევძლებთ ამ შენიშვნების აღმოფხვრას," – აღნიშნა ლაშა იორდანიშვილმა.

გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები ენერგეტიკის მინისტრის განცხადებას გარემოს დაცვის სამინისტროზე ზეწოლად აფასებენ. „მწვანე ალტერნატივას" წარმომადგენლის ირაკლი მაჭარაშვილის თქმით, ზეწოლა რომ არა, სხვა შემთხვევაში შეუძლებელია ენერგეტიკის მინისტრი „დარწმუნებული იყოს", მომავალში გარემოს დაცვის სამინისტრო დადებითი ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნას გასცემს თუ არა.

– ეს არის ზეწოლა და ეს არამარტო ამ განცხადებიდან ჩანს. ჩვენ არაერთი განცხადება გვინახავს როგორც კალაძის, ისე მისი მოადგილეების მხრიდან, სადაც ისინი იმ საკითხებზე საუბრობენ, რომელიც მათ კომპეტენციაში არ შედის, სხვა სამინისტროს უფლებამოსილებაში იჭრებიან. მაგალითად, საჯაროდ აკეთებდნენ განცხადებებს, რომ ისეთი არაფერი შენიშვნა არ არსებობდა, რომლის საფუძველზეც შეიძლებოდა არ გაცემულიყო ჰესზე ნებართვა და ჯობდა მალე გაეცათ. ნორმალურ ქვეყანაში წინასწარ არავინ იცის ესა თუ ის პროექტი შედგება თუ არა. ეს წყდება მხოლოდ გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცესში. ამ დროს ხდება სოციალური, ეკონომიკური, ეკოლოგიური და სხვა ფაქტორების შედარება, პლუსების და მინუსების დათვლა. სამწუხაროდ, საქართველოში არც ბევრ ინვესტორს ესმის მისი არსი და არც ხელისუფლების ზოგიერთ წარმომადგენელს, რაღაც ახირება ჰგონიათ, – განუცხადა მცხეთა-მთიანეთის საინფორმაციო ცენტრს ირაკლი მაჭარაშვილმა.

მისივე თქმით, ჰესების მშენებლობასთან მიმართებაში სახელმწიფოს პოლიტიკა იგივე დარჩა და ენერგეტიკის სამინისტროს არ უნდა ჰესის მშენებლობაზე უარის თქმის ერთი პრეცედენტი მაინც დაუშვას.

– ჯერ არაფერი არ იცვლება ამ ქვეყანაში, როგორც წინა ხელისუფლების დროს იყო, ისევეა. ჯერ აცხადებდნენ, რომ ეს პროექტი გაკეთდება და მერე იწყებდნენ იმის დათვლას, რა და როგორ მოხდებოდა. გზშ ანგარიშის გარეშე ხდებოდა ყველაფერი და უკვე მიღებული გადაწყვეტილებების „გაპრავება". ამ ჰესზე უარის თქმით უნდათ, ერთი პრეცედენტი მაინც დაუშვან. არ მესმის, რატომ არის ატეხილი ერთი ამბავი ამ პატარა ჰესის მშენებლობაზე? რა პრინციპული მნიშვნელობა აქვს ენერგეტიკული ან სხვა თვალსაზრისით 6 მეგავატიანი ჰესის მშენებლობას, რომელიც წყალმცირობის დროს, ალბათ 2 მეგავატს თუ აიღებს. როცა ასეთი პროექტია, რომელიც თავისი გარემოსდაცვითი მნიშვნელობით ბევრად აღემატება ენერგეტიკულ მნიშვნელობას და ამის დათმობასაც არ აპირებენ, წარმომიდგენია, რა მოხდება დიდ ჰესებზე. როცა მთავრობა იძახის, რომ გარემოს დაცვა მათი პრიორიტეტი იქნება, ეს ნიშნავს, რომ ზოგი პროექტი გამოვა, ზოგი არა. ენერგეტიკის სამინისტრო ვერ ხსნის, რატომ უნდა აშენდეს ეს ჰესი. ზოგადი ფრაზები მოაქვთ რომ ენერგეტიკა უნდა განვითარდეს. იმ ერთიბეწო ჰესზე თუ არის დამოკიდებული ქვეყნის ენერგოდამოუკიდებლობა და რუსეთისგან თავის დახსნა, კი ბატონო, – ამბობს ირაკლი მაჭარაშვილი.

არასამთავრობო ორგანიზაცია „სტეფანწმინდას" წარმომადგენლის შოთა ბუჩუკურის თქმით, ენერგეტიკის მინისტრი არც მალავს, რომ ხდის ხეობაში ჰესის აშენება ძალიან უნდა. მისი თქმით, ამას კალაძის განცხადებაც ადასტურებს, რომ ენერგეტიკის სამინისტრო „ყაზბეგი ჰესის" მშენებელი კომპანიისთვის ჰესის ჩაბარების ვადის გახანგრძლივებას აპირებს.

– ენერგეტიკის მინისტრმა ორი დღის წინ ისიც თქვა, რომ ენერგეტიკის სამინისტრო კომპანიას ვადას გაუხანგრძლივებს იმისთვის, რომ თავიდან შეიტანოს გზშ და პროექტის განსახორციელებლად ვადაში ჩაეტიოსო. რა მემორანდუმიც იყო დადებული „ყაზბეგი ჰესზე", იმ მემორანდუმით, კომპანიას ჰესი 16 აგვისტომდე უნდა აეშენებინა. ახლა, რა თქმა უნდა, ნებართვაც რომ მიიღოს, ამ დროში ვერ ჩაეტევა. რა აუცილებლობას ხედავს ენერგეტიკის სამინისტრო ამ ჰესის აშენებაში და ამისთვის დროის გახანგრძლივებაში, ვერ ვხვდები. ენერგეტიკის სამინისტრო არ არის ვალდებული ვადა გაუხანგრძლივოს", – აღნიშნავს შოთა ბუჩუკური და იქვე დასძენს, რომ ენერგეტიკის მინისტრი, გარემოს დაცვის მინისტრისგან განსხვავებით, ჰესის მშენებლობასთან დაკავშირებით ადგილობრივი მოსახლეობის აზრით არც დაინტერესებულა: „წინა მთავრობას ჰქონდა ეს პრობლემა, რომ ხალხის აზრს ყურს არ უგდებდნენ. გარემოს დაცვის მინისტრი რომ ჩავიდა ყაზბეგში, ჰესებიც ნახა და ხალხის აზრიც მოისმინა. ახლა, ენერგეტიკის მინისტრი ისე ჩავიდა ყაზბეგში და წამოვიდა, რომ ერთ ადგილობრივს არ შეხვედრია და აზრი არ უკითხავს. მხოლოდ ინვესტორს მოუსმინა. ინვესტორს ალბათ სამინისტროშიც ყოველდღე ხვდებიან და უმჯობესი იქნებოდა, ადგილობრივების აზრი მოესმინა, – ამბობს საინფორმაციო ცენტრთან საუბარში შოთა ბუჩუკური.

ნონა ცაბაძე

# ჯონდი ბაღათურია: „რესპუბლიკელების გავლენის ქვეშ მოქცეული ივანიშვილი რეიტინგს კარგავს“



## ინტერვიუ ჯონდი ბაღათურიასთან

***–ბატონო ჯონდი, კულუარულად საუბრობდნენ იმის შესახებ, რომ ქართული ოცნება შუალედურ არჩევნებში, ნაძალადევის რაიონში თქვენს კანდიდატურას დააყენებდა. რატომ ვერ მოხდა შეთანხმება?***

– იყო ამაზე საუბრები, თუმცა ჩვენ უფრო მეორე ვარიანტს განვიხილავდით, რომ ქართულ ოცნებას საერთოდ არ დაეყენებინა კანდიდატი ნაძალადევის ოლქში და, რა თქმა უნდა, ასეთ შემთხვევაში სრულიად გარანტირებულად გავიმარჯვებდი მე. თუმცა, ვფიქრობ, დავაყენო ჩემი კანდიდატურა. მაღალი ალბათობით, მაინც მოვიგებ, მაგრამ ჯერჯერობით გადაწყვეტილება მიღებული არ მაქვს.

***– ცესკოში განაცხადის შეტანის ვადა ხომ ამოიწურა?***

– ჩვენ დიდი ხანია უკვე შეტანილი გვაქვს განაცხადი. ლაპარაკია იმაზე, შევაჩეროთ თუ არა რეგისტრაცია. ეს შეგვიძლია, დღესაც გავაკეთოთ, ხვალაც და ერთი კვირის შემდეგაც. მე ვიცი, რომ საზოგადოებას აქვს მაღალი ინტერესი ამ არჩევნების მიმართ. საზოგადოებაში ბევრია იმის მომხრე, რომ მე ვიყარო კენჭი და მადლობელი ვარ ამ ხალხის. უფრო მეტიც, გეტყვით, რომ რეალურად ზეწოლის ქვეშ ვარ, საზოგადოებრივი აზრის ზეწოლის ქვეშ, რადგან მოსახლეობის დიდი ნაწილი პირდაპირ მოითხოვს ჩემგან, კენჭი ვიყარო. არ წყდება ზარები, ფეისბუქის გვერდზე ჩემთან რომ შეხვიდეთ, მიხვდებით, მართლა როგორი ძლიერი ზეწოლის ქვეშ ვარ. თუმცა, არის ისეთი გარემოებებიც, რომელიც მაფიქრებს, ღირს თუ არა ამ პარლამენტში შესვლა. ჩვენ გაზომილი გვაქვს მდგომარეობა და მაღალი ალბათობით მოვიგებ და ოცნება წააგებს ამ არჩევნებს. სიმართლე გითხრათ, გული არ მიმიწევს ამ პარლამენტისკენ.

***– რატომ არ მიგიწევთ?***

– მე ვხედავ, ამ პარლამენტს აკლია რაღაც, რისი შევსებაც ჩვენ, ქართულ დასს შეგვიძლია, მაგრამ, მეორე მხრივ, რამდენად ლეგიტიმურია ეს პარლამენტი, ამაზე სერიოზული საუბრები გვაქვს პარტიის შიგნით და არა მარტო პარტიის შიგნით, არამედ სხვადასხვა პოლიტიკურ თუ საერთაშორისო ორგანიზაციებთან. ხალხს 33 წიკლაური, ჩიორა თაქთაქიშვილი და აკო მინაშვილი ამ პარლამენტში არ აურჩევია. ასევე მინდა გითხრათ, რომ არც უსუფაშვილი აურჩევია პარლამენტის თავმჯდომარედ. ხალხმა აირჩია თავისუფლება, ხმა მისცა ქართულ ოცნებას და ხმა მისცა სააკაშვილის წინააღმდეგ და არა იმ შემადგენლობას, რომელიც პარლამენტში შევიდა. ამიტომ, მას შემდეგ, რაც შემოდგომაზე უკვე ფორმალურადაც ვადა გასდის სააკაშვილს, თქვენ როგორ გგონიათ, ოთხი წელი შეძლებს ქართველი საზოგადოება არალეგიტიმური წიკლაურების, თაქთაქიშვილებისა და ასეთი ხალხის ყურებას პარლამენტში? ამ პარლამენტმა ძალიან კარგი საქმე გააკეთა, რომ ჩაანაცვლა წინა პარლამენტი, სადაც უმრავლესობაში ნაციონალური მოძრაობა იყო, მაგრამ თავის ფუნქციას სექტემბერში უკვე ამოწურავს და შესაძლოა, პარლამენტის ქმედებაუნარიანობის საკითხიც კი დადგეს, რადგან ახლა, ამ ახალარჩეულზეც კი ძალიან დაბალი რეიტინგი აქვს პარლამენტს და საზოგადოებაში იგრძნობა უკმაყოფილება. ნაციონალური მოძრაობის მიმართ სიძულვილი იგრძნობა და ამას არანაირი გაზომვა არ სჭირდება. ეს ყოველი ფეხის ნაბიჯზე ხელისგულივით ჩანს. ხალხი ძალიან უკმაყოფილოა და მე ეს ძალიან მაწუხებს და მაღელვებს. გარდა ამისა, კიდევ უფრო მაფიქრებს და მაშფოთებს საკითხი, თუ ვინ იღებს მნიშვნელოვან პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს. მე მინდა გითხრათ, რომ ეს არის რესპუბლიკური პარტია და არა ბიძინა ივანიშვილი.

***– რატომ ფიქრობთ ასე?***

– მე უკვე ბევრჯერ ვნახე ეს. ბევრი სხვა ინფორმაცია მაქვს, რომელიც ეკრანიდან არ ჩანს, თუმცა, ბევრი რამის ამოკითხვა ეკრანიდანაც შეიძლება. მე რამდენიმე მნიშვნელოვან გადაწყვეტილებაზე ვნახე, რომ რესპუბლიკელების ზეწოლით ივანიშვილმა გადაწყვეტილება ვერ მიიღო და, პირიქით, მიიღო იმის საპირისპირო გადაწყვეტილება, რასაც თვითონ ფიქრობდა. იგივე მოხდა ახლაც კანდიდატების შერჩევასთან დაკავშირებით. ასეთი გადაწყვეტილება, რომ სადღაც მოეძებნათ იურიდიული ფაკულტეტის ბაკალავრი და დაეყენებინათ დეპუტატობის კანდიდატად, ეს იყო პარლამენტის თავმჯდომარის ზეწოლით მიღებული გადაწყვეტილება.

***– ფიქრობთ, რომ თქვენი კანდიდატურა რესპუბლიკელებმა დაბლოკეს?***

– ჩემს კანდიდატურას რესპუბლიკელები ვერასდროს დაბლოკავენ. საქმე ის არის, რომ გადაწყვეტილებებზე გავლენას ახდენენ. მე პირდაპირ გეტყვით, ჩემთვის ერთნაირად მიუღებელია ჩერგოლეიშვილისა და ბოკერიას ჭკუაზე მოარული სახელმწიფო, ისევე, როგორც ხიდაშელისა და უსუფაშვილის ჭკუაზე მოარული სახელმწიფო. ჩვენ ვხედავთ, რომ გადაწყვეტილებებს იღებს არა ის კაცი, რომლის მიმართაც ამხელა პატივისცემა გაგვაჩნია, რომლის მიმართაც ამხელა ნდობის ფაქტორია, არამედ გადაწყვეტილებებს იღებს ისეთი პოლიტიკური ძალა, რომლის ცნობიერებაც არ არის ეროვნული და სახელმწიფოებრივი. ასეთი მომენტები ჩვენთვის, რა თქმა უნდა, დამაფიქრებელი უნდა იყოს. იქ არის ძალიან ბევრი წესიერი, განათლებული ადამიანი, მაგრამ ისინი გადაწყვეტილებების მიღმა არიან დარჩენილი. სხვათა შორის, პრემიერმაც არ დამალა, ვისთან თათბირობდა შუალედურ არჩევნებთან დაკავშირებით და მან პირდაპირ და ღიად თქვა, რომ პარლამენტის თავმჯდომარე კატეგორიულად ითხოვდა, რამდენიმე ბაკალავრი ვიპოვოთ, იურიდიული ფაკულტეტის კურსდამთავრებული, რომელიც იურიდიული კომიტეტის აპარატის თანამშრომელს რომ მოვალეობა აქვს, იმ მოვალეობას შეუსრულებს. მე ვხვდები, რომ ამ არასერიოზული მოტივაციის უკან, საკმაოდ სერიოზული და შემაშფოთებელი რამ დგას და ეს სერიოზული და შემაშფოთებელი არის ის, რომ გადაწყვეტილებას ვერ იღებს ივანიშვილი. მე პირდაპირ შემიძლია ვთქვა, რომ იგი იზოლაციაშია და გადაწყვეტილებებს სხვები იღებენ. მის ირგვლივ არის ინფორმაციული გარსი, რომლის მიხედვითაც იგი ვერ იღებს სწორ გადაწყვეტილებებს. ის იმდენად გაბედული კაცია, მას კი არავინ აშინებს და ზეწოლას კი ვერ ახდენს, ასე მას გადაწყვეტილებას ვერავინ მიაღებინებს, უბრალოდ, ის არის ბლოკირებული.

***–ინფორმაციულ ვაკუუმშია?***

– კი, ასეა. იზოლაციაშია, მის ირგვლივ შეკრებილები არიან და საკუთარ გადაწყვეტილებებს თავს ახვევენ. მე არ მინდა, გუნდის შიგნით არსებული სიტუაცია განვიხილო, მაგრამ ხალხმა და პოლიტიკურმა სპექტრმა უნდა იცოდეს, ვინ იღებს გადაწყვეტილებებს ქართულ ოცნებაში. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, ჩვენ უნდა ვიცოდეთ, ვისთან გვაქვს საქმე, ვის უნდა ველაპარაკოთ. საზოგადოება აქამდე თვლიდა, რომ გადაწყვეტილებებს ივანიშვილი იღებს, მაგრამ ძალიან ბევრჯერ ძალიან მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, რომელსაც ემხრობოდა ივანიშვილი, შეაჩერეს რესპუბლიკელებმა და თავს მოახვიეს სრულიად საპირისპირო გადაწყვეტილება. ეს იყო არჩევნებამდეც და ასეა დღესაც. ამას როგორ ახერხებენ, ფოკუსებს ატარებენ თუ შანტაჟის ქვეშ ჰყავთ, ეს უკვე მეორეხარისხოვანია, მთავარია, რომ ასეთი არასასურველი, არასაიმედო, არასანდო ვითარებაა შექმნილი მმართველ ძალაში. ეს რომ არ იყოს მმართველი ძალა, ნაკლებად შემაშფოთებელი იქნებოდა ჩვენთვის.

***– სოციალურ ქსელებში უკვე ჩნდება მოსაზრებები იმის თაობაზე, რომ რესპუბლიკელები და ნაციონალები ახალ უმრავლესობას შექმნიან და ოცნებას ჩააჩოჩებენ. რამდენად რეალურად გეჩვენებათ თქვენ ეს?***

–ნაციონალებისა და რესპუბლიკელების ალიანსზე ვერაფერს გეტყვით, თუმცა, მინდა გითხრათ, რომ კულუარულად რესპუბლიკელებსა და ნაციონალებს შორის და ამაში ოცნებიდან კიდევ ერთი პარტიაც არის ჩართული, რომელსაც ახლა არ დავასახელებ, მოლაპარაკებები მიდის და ამას კოორდინაციას უწევენ უცხოელები. ეს მე დანამდვილებით ვიცი. აქ ლაპარაკი მიდის არა ახალი უმრავლესობის შექმნაზე, უბრალოდ, ივანიშვილის გავლენის დასუსტებაზე. საზოგადოებრივ აზრზე მისი გავლენის დასუსტებაზე, რაც საშუალებას მისცემს რესპუბლიკელებსა და კიდევ ამ პარტიას, რომ უფრო მეტი ზეგავლენა იქონიონ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე, ვიდრე ახლა აქვთ. თუმცა რესპუბლიკელებს ახლაც დიდი გავლენა აქვთ, თითქმის ყველა მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას თავს ახვევენ ივანიშვილს. სხვათა შორის, ეს არის შედეგი იმ ერთ-ერთი პარტიის მიერ დაშვებული შეცდომის და ამით მთლიანად ჩააგდეს ივანიშვილი რესპუბლიკელების ხელში. მინდა გითხრათ, რომ ძალიან ცუდი სიტუაციაა, ძალიან ცუდი. ამ მდგომარეობამდე რამ მიგვიყვანა? რეალურად სააკაშვილი კი არ იღებდა გადაწყვეტილებებს, ყველა მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას ბოკერია, ჩერგოლეიშვილი, რამიშვილი და ეს ინსტიტუტი იღებდა. სწორედ ამ ინსტიტუტის წარმომადგენლები არიან ხიდაშელი, უსუფაშვილი და, პრაქტიკულად, მთელი რესპუბლიკური პარტია. ამიტომ ჩვენთვის ეს ერთნაირად მიუღებელია. ერთნაირად მიუღებელია ბოკერიას მიერ თავს მოხვეული ფსევდოლიბერალური გადაწყვეტილებები და ხიდაშელისა და უსუფაშვილის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რომ ჩვენ რეგიონული ენების სტატუსი უნდა დავამკვიდროთ საქართველოში.

***– ეს მათი ინიციატივაა?***

– რა თქმა უნდა. ეს ხომ ღიად და აშკარად ამ პარტიის მიერ ლობირებული საკითხია. ისინი არც მალავენ ამას. ეს საკითხი ახალქალაქის საკრებულოში მათმა ფრაქციამ წამოჭრა და ესენიც ღიად გამოდიან და ამბობენ – რა მოხდა მერე, უნდა მოვახდინოთ ამის რატიფიკაციაო, რაც ავტომატურად ნიშნავს საქართველოს ტერიტორიაზე კიდევ სამი ავტონომიის მოთხოვნას. ახლა ეს პასუხისმგებლობის მქონე საქციელია?! ეს ვიღაცა რიგითმა სულელმა რომ თქვას, მაგალითად, თუთბერიძის მსგავსმა, ამას არა უშავს, მაგრამ, როცა ამას პარლამენტის თავმჯდომარე ამბობს, ეს უკვე არ არის სიგნალი იმისა, რომ ქვეყანაში განგაში უნდა ატყდეს?! მით უმეტეს, უსუფაშვილი არ არის ისეთი მარიონეტი პარლამენტის თავმჯდომარე, როგორიც იყო ბაქრაძე და რომელიც ვხედავთ, რომ იღებს გადაწყვეტილებებს, უფრო ზუსტად პრემიერს გადაწყვეტილებებს აცვლევინებს და საპირისპირო გადაწყვეტილებაზე ითანხმებს. ამიტომ ეს ძალიან დამაფიქრებელი გარემოებაა და ამას პრემიერ-მინისტრმა ყურადღება უნდა მიაქციოს. პრემიერმა თავად უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მას უნდა ამ ბლოკადის გარღვევა, თუ მას სურს, რომ ეს მოჯადოებული წრე გაირღვეს და მას პირდაპირი კომუნიკაცია ჰქონდეს საზოგადოებასთან და პოლიტიკურ სპექტრთან, ჩვენ აქ ვართ და მას გვერდში დავუდგებით ამ საკითხში, ხოლო თუ ეს რ უნდა, მაშინ ჩვენ ვერაფერს ვიზამთ. ჩვენ გვაინტერესებს მისგან სიგნალი, გადაწყვეტილება, რა უნდა მას. სულ არ არის აუცილებელი პარლამენტში ყოფნა, ჩვენ მას პარლამენტს გარედანაც დავეხმარებით. კი ბატონო, დავუთმობ ნაძალადევს და, თუ მისი სურვილი იქნება, მაინც გვერდში დავუდგებით. თუმცა, ეს მას უნდა უნდოდეს, რომ ჰქონდეს რეალური ინფორმაცია და გადაწყვეტილებებს თავად იღებდეს სწორ ინფორმაციაზე დაყრდნობით. მე ბევრჯერ ვნახე, რომ მას, უბრალოდ, ინფორმაცია არა აქვს.

***–კონკრეტულად რას გულისხმობთ?***

– იცით თქვენ, რომ არჩევნების პერიოდში მე მქონდა მოლაპარაკებები ივანიშვილთან და ეს იყო წარმატებული მოლაპარაკებები, ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული შეხვედრები. მისი მხრიდან იყო თანამშრომლობის სურვილი. შემდეგ, როდესაც დეტალებს განვიხილავდით, ჩემთან მოდიოდნენ მის მიერ გამოგზავნილი ადამიანები, რომლებსაც სულ სხვა ამბავი მიჰქონდათ მასთან, რომელზეც საერთოდ საუბარი არ იყო. ბოლო შეხვედრაზე, როდესაც აბსოლუტურად ყველაფერზე დავთანხმდი, რასაც ითხოვდნენ და ისე გავუშვი, წავიდა ივანიშვილთან და სულ სხვა რამ უთხრა, ჯონდი წინააღმდეგი მიდის ამისიო. ივანიშვილი გონიერი ადამიანია, მაგრამ, როგორი ჭკვიანი და ძლიერიც არ უნდა იყო, თუ ის ბრმად იღებს გადაწყვეტილებებს და არა აქვს ზუსტი ინფორმაცია. თუ ასე გაგრძელდა, აუცილებლად დაკარგავს რეიტინგს და ამით წააგებს. ამ საკითხს ყურადღება დროულად უნდა მიაქციოს. დღეს საზოგადოებამ უნდა იცოდეს, ვინ იღებს გადაწყვეტილებებს, ვინ მართავს სახელმწიფოს, პრემიერ-მინისტრი თუ პარლამენტის თავმჯდომარე? ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. სწორედ ამის მიხედვით ექნება ხელისუფლებას მხარდაჭერა. თუ გადაწყვეტილებებს იღებს ივანიშვილი, ეს ჩვენთვის მისაღებია, ჩვენ შეგვიძლია მათთან თანამშრომლობა ოპონენტის რეჟიმში, მაგრამ, თუ გადაწყვეტილებებს იღებს რესპუბლიკური პარტია, მაშინ ეს სხვა საკითხია. ჩვენ ძალიან ბევრი წინააღმდეგობა გვაქვს მათთან და მიგვაჩნია, რომ ეს არის არასახელმწიფოებრივად მოაზროვნე პარტია და არ ვეთანხმებით მათ გადაწყვეტილებებს.

***– ამ ფონზე რა პროცესების განვითარებას ელით?***

– ძალიან რთულია პროცესების პროგნოზი, თუ არ იცის, ვინ იღებს გადაწყვეტილებას. ვიმეორებ, მე ვნახე, რომ რამდენჯერმე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, რომელსაც ემხრობოდა პრემიერ-მინისტრი, რესპუბლიკური პარტიის ზეწოლის ფონზე მან შეცვალა და მიიღო მისი მხარდაჭერილი გადაწყვეტილების საპირისპირო გადაწყვეტილება. იგივე იყო მაჟორიტარულ კანდიდატებზეც. ერთი მანდატი არაფერს მატებს არც ბაღათურიას და არც ივანიშვილს. თავის დროზე მე, პრაქტიკულად, ყველგან მოვუხსენი კანდიდატურები, მარტო ერთი მაჟორიტარი დავტოვე ოქტომბრის არჩევნებზე და ახლა ერთ მანდატზე ვალაპარაკებ? ინიციატივა იმაზე, რომ მე კენჭი მეყარა, მათგან წამოვიდა, ოცნებისგან წამოვიდა, იყო შეხვედრები, თუმცა, რესპუბლიკელების გააქტიურებამ მოიტანა ეს შედეგი, რომ დაიწყეს ძებნა იურიდიული ფაკულტეტის კურსდამთავრებული ბაკალავრების. როდესაც გავიგებთ პრემიერის პოზიციას, მერე გვეცოდინება, ქვეყანაში რა მოვლენები შეიძლება განვითარდეს. მარტივადაა საკითხი, თუ რესპუბლიკელები იღებენ გადაწყვეტილებას, მაშინ რეგიონულ ენებთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას ბოლომდე მიიყვანენ. მე პირდაპირ გეტყვით, რომ სიტუაცია ქვეყანაში აუცილებლად დაიძაბება. ასე აღარ გაგრძელდება, ხალხმა ნახა თავისუფლების გემო და ახლა შენ რომ რაღაცას კაბინეტში ჩაიფიქრებ, ასე მოქმედება აღარ გაუვათ. ამას სერიოზული დაძაბულობა მოჰყვება, მოჰყვება რეიტინგის ვარდნა, ხელისუფლების გავლენის ვარდნა. ვინ ისარგებლებს ამით? ისევ რესპუბლიკური პარტია, იმიტომ რომ ყველა არაპოპულარულ გადაწყვეტილებაზე გაფორმდა, რომ ეს ივანიშვილის გადაწყვეტილებები იყო. არც ერთი გადაწყვეტილება არ დაბრალდა რესპუბლიკელებს. მე მესმის, რომ ივანიშვილს ნდობის რესურსი დიდი აქვს, მაგრამ ეს რესურსი მცირდება, მცირდება არაპოპულარული გადაწყვეტილებებით, რომელსაც თვითონ არ იღებს, მაგრამ იღებენ მის მაგივრად სხვები და აფორმებენ,

# „ქართულმა ოცნებამ“ სამართლიანობის აღდგენა გადაიფიქრა

თამარ ნინიძე

**„ქართულ ოცნებას" ისე გაუტკბა ნაციონალებთან კოაბიტაცია, რომ საკუთარი ამომრჩევლის ნება-სურვილს აღარ ითვალისწინებს. ფაქტი ერთია, ნაციონალები, მართალია, პარლამენტში უმრავლესობას აღარ წარმოადგენენ, მაგრამ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში, სამართალდამცავ სტრუქტურებში ისევ ინარჩუნებენ წამყვან პოზიციებს და პრობლემების შექმნას განაგრძობენ, თანაც არა მარტო ახალი ხელისუფლებისთვის, არამედ რიგითი ადამიანებისთვის.**

არასაპარლამენტო ოპოზიცია კოაბიტაციის ყბადაღებულ პროცესს კატეგორიულად არ ეთანხმება და მიაჩნია, რომ „ქართული ოცნება“ სახიფათო თამაშშია ჩართული. პოლიტიკურმა პარტიებმა, რომლებიც პარლამენტში არ არიან წარმოდგენილი, მორატორიუმი დაასრულეს, დღეიდან იწყება კრიტიკის სალი პროცესი, რომელიც „ქართული ოცნების“ ნაციონალებთან შეხმატკბილებული თანაარსებობის გამო სულ უფრო აუცილებელი და აქტუალური გახდა. „დემოკრატიული მოძრაობა“ მზადყოფნას გამოთქვამს, დაეხმაროს „ქართულ ოცნებას“ იმაში, რომ ნაციონალების პოლიტიკური ველიდან განდევნა მოხდეს, მნიშვნელოვანი და მტკივნეული პროცესი ნაცმოძრაობის აქტიური პოლიტიკიდან განდევნისა დღეიდანვე უნდა დაიწყოს, რადგან ნაციონალების მიმართ „ქართული ოცნების“ კოალიციიდან სულ უფრო ხშირად გაისმის მოწოდება ნაციონალებისთვის სახის შენარჩუნების შესახებ.

1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ თუ ნაცმოძრაობა მოკრძალებულად იქცეოდა და შეშინებული იყო, ახლა ის უფრო თავხედურად საუბრობს და ხელისუფლებაში დაბრუნების შესახებ მისი ლიდერებისგან ხშირად გვესმის მოწოდებები. საზოგადოების მოლოდინი სამართლიანობის აღდგენისა იმდენად ნელი ტემპით მიმდინარეობს, რომ გამორიცხული არ არის, „ქართული ოცნების“ მიმართ იმედგაცრუების განცდა გაღრმავდეს. შსს-სა და მთავარ პროკურატურაში ისევ ნაცმოძრაობის ძველი კადრები მუშაობენ და საბოტაჟის ნიშნები რეალურად შესამჩნევი გახდა. ამ კვირაში „დემოკრატიული მოძრაობა“ აქტიურად გამოვიდა ნაცმოძრაობასთან კოაბიტაციის წინააღმდეგ. ნინო ბურჯანაძე მიიჩნევს, რომ კოაბიტაცია მხოლოდ იმ ძალასთან შეიძლებოდა, რომელიც დამარცხდა საპარლამენტო არჩევნებში, მაგრამ არ ჩაუდენია დანაშაული ქვეყნის მოსახლეობის წინაშე, არ დაუკარგავს სახელმწიფოს ტერიტორიების 20%, არ გაუთელავს ადამიანის უფლებები, არ აუყრია ღირსება საკუთარი მოქალაქეებისთვის, არ წაურთმევია კერძო საკუთრება და ბიზნესი ადამიანებისთვის. მაგრამ ნაცმოძრაობასთან კოაბიტაციას, რომელიც თავიდანვე გამაღიზიანებელი იყო ამომრჩევლისთვის, ყოვლად მიუღებლად თვლის.

ყველა საქმე ობიექტურად უნდა იყოს გამოძიებული და შერჩევითი სამართალი დაუშვებელია, არასაპარლამენტო ოპოზიცია თვლის, რომ „ქართულმა ოცნებამ“ ხელიდან გაუშვა იმის შანსი, რომ ნაცმოძრაობისთვის ნიურნბერგის მსგავსი პროცესი გაემართა, საკონსტიტუციო ცვლილებების დროს „მიღწეული“ კოაბიტაცია სამარცხვინო შოუ აღმოჩნდა პირველ რიგში „ქართული ოცნებისთვის“, რომელსაც, მეტი პრინციპულობა რომ გამოეჩინა, საკაშვილისთვის იმპიჩმენტის პროცედურები დაეწყო და დასავლეთში სწორად და დროულად მიეწოდებინა ობიექტური ინფორმაციები, საკონსტიტუციო ცვლილებების დროს სამარცხვინო უკანდახევა არ მოხდებოდა.

ნაცმოძრაობის ლიდერშიფი, როგორც უწოდებს მას დასავლეთი, მთავარი პროკურატურის მიერ გამოძიების ნელი ტემპითა და ხშირად უსუსური ქმედებებით ისეა გათავხედებული, რომ 19 აპრილს მიტინგის გამართვას აპირებს იმ ადგილზე, სადაც არაერთხელ მოახდინა ოპოზიციის დარბევა და სისხლის დაღვრა. მერაბიშვილი, რომელსაც, წესით, არანაირი მორალური უფლება არ უნდა ჰქონოდა, პარლამენტის წინ შოუ მიტინგი გაემართა, ახლა სწორედ ამ მიტინგს აანონსებს. არადა, საზოგადოებას კარგად ახსოვს შვიდ ნოემბერს სწორედ მერაბიშვილის, უგულავას, ბოკერიასა და სხვა ლიდერების მიერ როგორ მოხდა ოპოზიციის დარბევა, სისხლისღვრა და მსხვერპლი 26 მაისს კიდევ უფრო მასშტაბური იყო, მაგრამ მეორე დღეს სისხლით მორწყული მოედანი გადაირეცხა და სააკაშვილმა იქ აღლუმი გამართა. ობიექტურია ნინო ბურჯანაძისა და ოპოზიციის სხვა ლიდერების პრეტენზია, როცა აცხადებენ, რომ ვანო მერაბიშვილი დასაკითხად კი არ უნდა დადიოდეს, არამედ დაკავებული უნდა იყოს კონკრეტული ბრალდებების გამო, პირველ რიგში, უნდა იქნეს გამოძიებული, მაშინდელი შს მინისტრის როლი როგორი იყო მიტინგების დარბევაში, როგორ და რა გზით შემოვიდა მეზობელი სახელმწიფოდან მიტინგის დასარბევად თანამედროვე საშუალებები, არა მარტო რეზინის ტყვიები, არამედ სმენის დამხშობი და ადამიანის ჯანმრთელობისთვის საზიანო სხვა საშუალებები. ვინ გასცა ბრძანება მაშინდელი პრემიერ-მინისტრის ნოღაიდელისა და პარლამენტის თავმჯდომარის ბურჯანაძის ზურგსუკან 7 ნოემბერს მიტინგის დარბევისა, უფრო სწორად, მომიტინგეების სასტიკი მეთოდებით დაშლის შესახებ, ვინ იყო 26 მაისს შეკრებილი მომიტინგეების განსაკუთრებული სისასტიკით ცემის მოთავე და ინიციატორი.

დღეს ბურჯანაძე და მისი პარტიის ლიდერები კატეგორიულად მოითხოვენ კოალიციისგან, შეწყდეს ნაცმოძრაობისთვის ე.წ. სახის შენარჩუნების სამარცხვინო პროცესი, რომელიც ამომრჩევლის სურვილი ნამდვილად არ ყოფილა. სწორად და ზუსტად შეაფასა ექსპერტმა რამაზ საყვარელიძემ, როცა აღნიშნა, რომ ნაცმოძრაობა იყო ბანდა, ხოლო საკონსტიტუციო ცვლილების მიღების დროს სარეიტინგო კენჭისყრის პროცესში პოლიტიკურ პარტიად გარდაიქმნა, ამას კი ხელი შეუწყო „ქართულმა ოცნებამ“. სახიფათო ტენდენციებზე დღესვეა რეაგირება აუცილებელი, „ქართული ოცნება“ მზარდი რეიტინგის კოალიცია იყო რამდენიმე თვის წინ, ახლა კი კოაბიტაციის სამარცხვინო პროცესმა შეიძლება მისი რეიტინგი მკვეთრად დააგდოს. „დემოკრატიული მოძრაობა“ უამრავ იმ თანამოაზრეს შემოიკრებს გარშემო, რომელიც კოაბიტაციას არ ცნობს რეჟიმთან და ნაცმოძრაობის დროულ გასამართლებას მოითხოვს. ეს არ იქნება პოლიტიკური რევანში, ეს იქნება სამართლიანობის განცდის დაბრუნება ადამიანებისთვის, რომლებსაც ჯერ კიდევ არ დაბრუნებიათ წართმეული საკუთრება, რომლებიც ჯერ ისევ სამართლის ძიებაში არიან. პოლიტიკურ ძალთა გარკვეული ნაწილი შუალედურ არჩევნებში მონაწილეობს, მაგრამ „დემოკრატიული მოძრაობა“ მიიჩნევს, რომ ეს საპარლამენტო არჩევნების გაგრძელების პროცესია, რომელშიც მონაწილეობა ბურჯანაძის პარტიამ სწორედ იმის გამო არ მიიღო, რომ ოპოზიციის ხმები არ გაყოფილიყო, დღეს ბურჯანაძის პოზიციაა, რომ მით უმეტეს არ მიიღებს ამ არჩევნებში მონაწილეობას და ამით კოაბიტაციის გაუმართლებელ პროცესში არ იქნება ჩართული.

საინტერესოა, კოალიციის რომელი სუბიექტები აქტიურობენ ყველაზე მეტად ნაცმოძრაობასთან მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკურ ფარსში? ჯერჯერობით გამოიკვეთა, რომ ყველაზე მეტად რესპუბლიკელები, კონსერვატორები და ქართული ოცნება არიან ის პოლიტიკური პარტიები, რომლებიც ამ თანაარსებობას აუცილებელ პროცედურად აღიქვამენ. თავის დროზე (ეჭვს უკვე არ იწვევს) რესპუბლიკელები უშლიდნენ ხელს „დემოკრატიული მოძრაობისა“ და ბიძინა ივანიშვილის დაახლოებას. ოფიციალური მიზეზი თითქოს ის იყო, რომ „დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერი ნინო ბურჯანაძე პუტინს შეხვდა და რესპუბლიკელები და ალასანიას პარტია მხარდამხარ ნაცმოძრაობასთან ერთად ცდილობდნენ, ბურჯანაძე ყველაზე პრორუსულ ძალად წარმოეჩინათ, არადა, დრო გავიდა და ისეთი სკანდალური პროცესის მოწმე გავხდით, რომ კრემლთან ურთიერთობების გარკვევის საკითხში თურმე ნაციონალური მოძრაობა იყო ჩართული. ამის ყველაზე კარგი მაგალითი გრიგოლ ვაშაძის სკანდალური წერილი გახლავთ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრისადმი. მალე კიდევ ბევრი საინტერესო პროცესის მოწმე გავხდებით, როგორ ცდილობდა ნაცმოძრაობა აგვისტოს ომის შემდეგ პუტინის რუსეთთან მისასვლელი გზების ძიებას. კოალიციაში არიან პიროვნებები, რომლებიც ჟირინოვსკის შეხვდნენ, მაგალითად, კობა დავითაშვილი, არიან ის ფიგურები, რომლებიც ნოღაიდელის მოსკოვური ვოიაჟის შემდეგ მასთან ერთ ბლოკში გაწევრიანდნენ, მაგალითად, ძიძიგური, არიან ის პოლიტიკოსები, რომლებიც ნატოში საქართველოს გაწევრიანების უპერსპექტივობაზე საუბრობენ, მაგალითად, გოგი თოფაძე, მაგრამ ისინი დღეს ივანიშვილის თანამებრძოლებად არიან ცნობილი, მაშინ არც რესპუბლიკელებსა და არც ალასანიას ოდნავადაც არ გასჩენიათ დისკომფორტი იმის გამო, რომ კოალიციაში ერთად იქნებოდნენ დასავლელები და პრორუსული პოლიტიკის მიმდევრები. ბურჯანაძის შემთხვევაში და ასევე სხვა ოპოზიციური პოლიტიკური პარტიის შემთხვევაში ტრიალებდა აზრი, რომ დემოკრატიული მოძრაობა კოალიციის სუბიექტი არ უნდა გამხდარიყო. დღეს რომ ბურჯანაძის პარტია კოალიციაში არ არის, მისი ლიდერისთვის საკმაოდ კარგი აღმოჩნდა, ზუსტად იმის გათვალისწინებით, რომ კოალიციის ლიდერთა უმრავლესობამ ნაცმოძრაობასთან თანაარსებობა ლამის პრიორიტეტად აქცია. ამით დიდი მოლოდინი და იმედი გაუცრუა ამომრჩეველს. მომავალში, ალბათ, ქართველი საზოგადოება ამას თავის სახელს დაარქმევს.

რატომ შეხვდა პუტინს ბურჯანაძე, იყო თუ არა მისი, როგორც პოლიტიკოსის იმიჯისთვის ეს გადაწყვეტილება არაპოპულარული და სარისკო? ნინო ბურჯანაძე აცხადებს, რომ დივიდენდებზე არ უფიქრია, მან საჯაროდ გააკეთა ის, რასაც ნაცმოძრაობის სახელისუფლებო ელიტა ფარულად და ქურდულად აკეთებდა, ბურჯანაძე ამბობს, რომ შეხვდა მსოფლიოში გავლენის მხრივ სამეულში მყოფ მსოფლიო ლიდერს პუტინს, მაშინ როცა ნაცმოძრაობამ სახელმწიფო ობიექტები რუსეთს პირდაპირ ხელში ჩაუგდო და ამის უარყოფით შედეგებზე არც უფიქრია, ბურჯანაძისთვის იოლი არ იყო მოსკოვში ვიზიტი, გარკვეული პოზიტივის იმედი რომ არ ჰქონოდა, შესაძლოა, ეს ვიზიტი ზედმეტიც ყოფილიყო. „დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერი მიიჩნევს, რომ არა მარტო მისი შეხვედრა იყო მნიშვნელოვანი, არამედ კათოლიკოს-პატრიარქის შეხვედრა პუტინთან იყო თავდადებული ნაბიჯი.

დღეს ბურჯანაძე იხსენებს, რომ სერგეი ლავროვმა პუტინთან ბურჯანაძის შეხვედრის წინ განაცხადა, საქართველოსთან ტერიტორიული საკითხები გადახედვას არ ექვემდებარებაო, მაგრამ შეხვედრის შემდეგ თვითონ პუტინმა განაცხადა, არ არსებობს საკითხები და თემები, რაზეც არ შეიძლება ქართულ მხარესთან არ ვისაუბროთო. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი განაცხადი იყო პუტინის მხრიდან, მან თქვა, თუ ქართველები დ აფხაზები, ქართველები და ოსები იმსჯელებენ საერთო სახელმწიფოებრივი მოწყობის საკითხებზე, რუსეთი მათ ამ დიალოგში ხელს არ შეუშლისო. საინტერესოა, როცა ბურჯანაძე მოღალატედ აღიარა ნაცმოძრაობამ, ამ დროს ის თურმე თავად ახერხებდა კრემლთან ფარულ მოლაპარაკებებს ჯერ კულტურული ღონისძიებების გამართვის და შემდეგ, ვინ იცის, რა საკითხებზე. მაშინ ეს პროცესი საზოგადოებისთვის საჯარო არ გამხდარა, დღეს კი ვაშაძე ამბობს, რომ კონფიდენციალური მიმოწერის განსაჯაროება თურმე დიდი დანაშაულია. ნაცმოძრაობა მხოლოდ იმ კონტექსტში განიხილავდა პუტინთან ურთიერთობას, რაც მისი ინიცირებული უნდა ყოფილიყო, ასე მოხდა ილორის წმინდა გიორგის ტაძრის საკითხთან დაკავშირებით. მოსკოვში ბურჯანაძისა და რუსეთის პატრიარქ კირილის შეხვედრის დროს ბურჯანაძემ ამ ტაძრის მდგომარეობაზე დასვა საკითხი. აფხაზეთში მეთერთმეტე საუკუნის ილორის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიას სარეაბილიტაცო სამუშაოები ჩაუტარდა, რის შემდეგაც მისი ავთენტურობა დაირღვა. კერძოდ, მას რუსული „ხახვისთავიანი“ გუმბათი დააშენეს, ქართული წარწერები თეთრად გადაღებეს გარე ფასადზე, ტაძარს ქართული არქიტექტურისთვის უცხო რელიეფური ელემენტები დაამატეს და თაღები წითლად შეუღებეს. რუსეთის ეკლესიის წინამძღოლი კირილი ბურჯანაძეს დაჰპირდა, რომ ამ ინფორმაციის დადასტურების შემთხვევაში რუსეთი ხელს შეუწყობდა ტაძრისთვის პირვანდელი იერის დაბრუნებას, ნაციონალებს ამ საკითხზე მედიასაშუალებებში არც ერთი ინფორმაცია არ გაუვრცელებიათ, იმ მიზეზით, რომ ამ პროცესში ბურჯანაძე ფიგურირებდა, მეტიც, საქართველოს კულტურის საminისტრომ ყური არ შეიბერტყა ამ დიდებული კულტურული და საეკლესიო ძეგლის გადარჩენის საქმესთან დაკავშირებით. ამ გაუმართლებელი პასიურობის გამო რუსეთის საპატრიარქოსგან ბურჯანაძემ მიიღო წერილი, სადაც რუსეთის მხარე ბოდიშს იხდის დაპირების შეუსრულებლობის გამო და სინანულით აღნიშნავს, რომ ქართული მხარის სრული იგნორირებისა და დაუინტერესებლობის გამო ვერ მოხერხდა ამ საკითხის გადაწყვეტა.

ვიდრე ჯერ კიდევ შესაძლებელია ის, რომ ნაცმოძრაობამ კი არ შეინარჩუნოს სახე, არამედ ქართულმა ოცნებამ არ დაკარგოს სახე და ავტორიტეტი ქართველი საზოგადოებისა და მისი მრავალი თანამებრძოლის წინაშე, ივანიშვილმა მოახერხოს არასაპარლამენტო ოპოზიციასთან შეხვედრა, რადგან ეს არა მარტო პოლიტიკური ძალების დაახლოებისთვის იქნება პოზიტიური, არამედ სიმშვიდისა და სტაბილურობის შენარჩუნებისთვის ქვეყანაში, დღეს მოწოდება შუის გაკრეფის თაობაზე გაუმართლებელია იმ ფონზე, როცა ნაცმოძრაობა ერთადერთი ოპოზიციური „ჯანსაღი“ ძალის პრეტენზიას აცხადებს. საპრეზიდენტო არჩევნებამდე დრო საკმარისია იმისათვის, რომ ინტერპარტიული ჯგუფი შეიქმნას, რომელიც საარჩევნო კოდექსის ნორმალურ ვარიანტზე იმუშავებს და ასევე პარტიების დაფინანსების კანონსაც ისეთ ფორმას მისცემს, რომ ყოველი მომდევნო არჩევნები კონკურენტულ გარემოში გაიმართოს და არა ისე, როგორც ნაცმოძრაობას სურდა. „ქართული ოცნება“ ნაცმოძრაობასთან თანაარსებობაზე ზრუნვის ნაცვლად საქმის კეთებაზე უნდა გადავიდეს და დაუმტკიცოს საკუთარ ამომრჩეველსა და საზოგადოებას, რომ ნამდვილად ფიქრობს სამართლიანობის აღდგენასა და ძლიერი სახელმწიფოს ჩამოყალიბებაზე.



# როგორ იმუშავებენ ახალი ელჩები

ნათია ხურცილავა

პრეზიდენტსა და საგარეო საქმეთა სამინისტროს შორის ურთიერთობა, შეიძლება ითქვას, რთულად მიმდინარეობს. კოჰაბიტაციის რეჟიმი ამ მიმართულებით ნამდვილად ვერ შედგა. ამის მაგალითად შეიძლება ელჩებისა და მინისტრის მოადგილის დანიშვნის საკითხიც საკმარისი იყოს. თუმცა, რამდენიმეთვიანი ტაიმაუტის შემდეგ პრეზიდენტმა სააკაშვილმა მიიღო გადაწყვეტილება, ელჩების დამტკიცებას ხელი მოაწეროს და ასევე თანხმობა მისცეს მაია ფანჯიკიძეს, რომ მისი ერთ-ერთი მოადგილე თამარ ბერუჩაშვილი გახდეს.

მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტისთვის უცხო არ არის, ელჩი რომელიმე ხელისუფლებას კი არ წარმოადგენს, არამედ ქვეყანას და სწორედ ქვეყნის ინტერესების გამტარებელია უცხო ქვეყანაში, ამ მიმართულებით პრობლემები შეიქმნა, რადგან საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გადაგზავნილი ახალი ელჩების სია დროულად არ დაამტკიცა.

ექსპერტების განცხადებით, ელჩების გვიან გაგზავნა ამა თუ იმ ქვეყანაში უკან გადადგმული ნაბიჯია, რაც ზოგადად ქვეყნის იმიჯისადმიც არასტაბილურ განწყობებს გამოიწვევს. რატომ აფერხებდა სააკაშვილი ელჩების სამუშაო რეჟიმში დროულად ჩართვას, რთული მისახვედრი არ არის.

რა ამოცანა დგას ელჩის წინაშე? არც ამ კითხვაზეა პასუხი რთულად გასაცემი. პასუხი მარტივია, მაგრამ, როგორ შეასრულებს ელჩი მასზე დაკისრებულ არცთუ ისე მარტივ მისიას, ეს კითხვა, შეიძლება ითქვას, რთული საპასუხოა.

ამ მიმართულებით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმ ქვეყნებთან ურთიერთობებს, რომლებთან ურთიერთობაც ჩვენი ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. ამ ქვეყნების რიგში, უპირველესად ყოვლისა, ჩვენი ქვეყნის სტრატეგიული პარტნიორი, ამერიკის შეერთებული შტატები მოიაზრება.

საქართველოს ამერიკის შეერთებულ შტატებში არჩილ გეგეშიძე წარმოადგენს.

არჩილ გეგეშიძე საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის აკადემიური ხელმძღვანელი იყო.

გეგეშიძე 1992-2000 წლებში სახელმწიფო კანცელარიის საგარეო პოლიტიკის ანალიზის განყოფილების უფროსად მუშაობდა, ასევე იყო ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში სახელმწიფო მეთაურის თანაშემწე და საგარეო პოლიტიკის დარგში პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის მთავარი მრჩეველი.

2000-2001 წლებში გეგეშიძე სამეცნიერო-კვლევით მუშაობას ამერიკის შეერთებულ შტატებში, სტენფორდის უნივერსიტეტში ეწეოდა.

ასევე ბოლო პერიოდში მუშაობდა რეგიონული უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის, ევროატლანტიკური ინტეგრაციისა და კონფლიქტების მოგვარების საკითხებზე.

საქართველოს ელჩმა ამერიკის შეერთებულ შტატებში არჩილ გეგეშიძემ ვაშინგტონში გამგზავრებამდე კონსულტაციები გამართა „ქართული ოცნების" წარმომადგენლებთან.

– კონსულტაციები გავმართე, რადგან, როგორც ცნობილია, ახლო მომავალში ვაშინგტონში მივემგზავრები. კონსულტაციები მქონდა პარლამენტის წევრებთან იმასთან დაკავშირებით, თუ რა აქტუალური საკითხები დგას დღის წესრიგში, – ასე მოკლედ შემოიფარგლა ახლად დანიშნული ელჩი ჟურნალისტებთან.

არჩილ გეგეშიძეს თავის სამომავლო გეგმებთან დაკავშირებით ჯერ საჯაროდ არაფერი უთქვამს, თუმცა, როგორც ვნახეთ, შეხვედრები მან უკვე გამართა ახალი ხელისუფლების წარმომადგენლებთან და, სავარაუდოდ, სტრატეგიის მიმართულებებიც შეჯერდა.

– ბატონი არჩილი მალე მიემგზავრება ამერიკის შეერთებულ შტატებში და ამიტომ, ბუნებრივია, გვქონდა მასთან შეხვედრა. ის არის საქართველოს ელჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში. შესაბამისად, მან, როგორც მთავრობის, ასევე პარლამენტის მთავარი საკითხები, უმთავრესი თემები უნდა იცოდეს, უნდა ჰქონდეს სრული ინფორმაცია ამ ყველაფერთან დაკავშირებით. ჩვენ შევთანხმდით იმ ფორმატზე, რომლითაც მუდმივმოქმედ რეჟიმში ვითანამშრომლებთ არჩილ გეგეშიძესთან, – განაცხადა თინა ხიდაშელმა.

პრეზიდენტის განკარგულებებით დანიშნულ იქნენ: ნატო საბანაძე – ბელგიის სამეფოში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად და ევროკავშირში საქართველოს წარმომადგენლად. მიხეილ უკლება – უკრაინაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად. ეკატერინე სირაძე-დელონე – საფრანგეთის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად და იუნესკოში საქართველოს მუდმივ წარმომადგენლად. ზაზა კანდელაკი – უნგრეთში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად. კონსტანტინე ზალდასტანიშვილი – ავსტრიის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად და ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციასა და ქალაქ ვენაში განლაგებულ საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს მუდმივ წარმომადგენლად. თეიმურაზ ჯანჯალია – ლატვიის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად. ზაალ გოგსაძე – ჩეხეთის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად და კარლო სიხარულიძე – იტალიის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად და ქალაქ რომში განლაგებულ გაეროს საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს მუდმივ წარმომადგენლად.

# ზაალ სამადაშვილი გადაყენებას გადაურჩა

გულიკო ბალაძე

**თბილისის საკრებულოში ნაციონალური მოძრაობა გააფთრებით იბრძვის, რომ სულთქმა გაიხანგრძლივოს, რადგან, როგორც ჩანს, ნაციონალური მოძრაობა დაშლის პირასაა და დიდი შანსია, რომ მალე უმრავლესობაც აღარ ჰყავდეთ. ამას, რა თქმა უნდა, ნაციონალური მოძრაობა ვერ ეგუება. სააკაშვილსა და ნაცებს ახლა უკვე თბილისის დონეზე ძალაუფლება ყოველ წუთს ხელიდან ეცლებათ.**

ნაციონალები მუდმივად გაიძახიან, საკრებულოზე ზეწოლა ხდებაო, მაგრამ არ ამბობენ იმას, რომ




ნაციონალების დიდი უმრავლესობა, როგორც ჩანს, ელიტარულ კორუფციასა და „ნაციონალურ" მაქინაციებში იყო ჩართული.

გუშინ თბილისის საკრებულოს ნაციონალმა დეპუტატებმა (თუ მათმა მკარნახებლებმა) ეშმაკობას მიმართეს და საკრებულოს თავმჯდომარის ზაალ სამადაშვილის თანამდებობიდან გადაყენების საკითხი დასვეს საკრებულოს სხდომაზე. თუმცა, ასევე თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე ზაალ სამადაშვილი საკრებულოს წევრების უმრავლესობის გადაწყვეტილებით, თანამდებობაზე დარჩა.

კენჭისყრის შედეგი ასეთი იყო: 24 ხმით 0-ის წინააღმდეგ სამადაშვილი თანამდებობაზე დარჩა.

აღსანიშნავია ის, რომ საკრებულოს უმცირესობის წევრებს კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღიათ.

აღნიშნული ფაქტის შესახებ „პრაიმ-ტაიმის" პრესკლუბში ყოფნისას ვახტანგ ხმალაძეს თბილისის საკრებულოში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით ტელეფონზე „მესიჯი" მოუვიდა, რომელიც ჩვენ გაგვაცნო.

მესიჯში ეწერა: „ნაციონალებმა მოიფიქრეს ხრიკი. იმისათვის, რომ შეინარჩუნონ თანამდებობა, დღეს დასვეს სამადაშვილის გადაყენების საკითხი".

ვახტანგ ხმალაძის განმარტებით:

– თუ ეს საკითხი ჩავარდა, ანუ, თუ სამადაშვილი არ გადააყენეს, მაშინ სამი თვის განმავლობაში საკრებულოს თავმჯდომარის ზაალ სამადაშვილის გადაყენების საკითხს ვეღარ დასვამენ, ანუ თავად დასვეს საკითხი, თავად არ მისცემენ ხმას, ე. ი. ჩავარდება გადაყენება და სამი თვის განმავლობაში ინარჩუნებენ თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობას. ნახეთ, რა ხერხი მოუფიქრებიათ!

***– ბატონო ვახტანგ, საფრთხე ემუქრებოდა, ანუ თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის გადარჩევა გარდაუვალი იყო?***

– მე არ ვიცი, გარდაუვალი იყო თუ არა, მაგრამ ამის ალბათობა ხომ იყო?

***– ალბათ, იყო.***

– ალბათ, იყო ამის ალბათობა იმიტომ, რომ თუ უმრავლესობას დაკარგავდნენ, ალბათ თავმჯდომარესაც გადაირჩევდნენ. ჯერჯერობით, თბილისის საკრებულოში უმრავლესობა ნაციონალების ხელშია.

***– როგორ აფასებთ მათ ამ გადაწყვეტილებას?***

– მათ გამოიყენეს კანონის არასწორი ფორმულირება. კანონში როგორ უნდა ეწეროს იცით? მაგალითად, თავმჯდომარის იმპიჩმენტის ან თავმჯდომარის გადაყენების უფლება აქვს საკრებულოს ან პარლამენტის წევრთა ერთ მეხუთედს. თუ ეს საკითხი ჩავარდა, მაშინ იმავე საფუძვლით, იმავე პირებს, ამდენი თვის (ვთქვათ, 3-4-5) განმავლობაში არ აქვთ ხელმეორედ საკითხის დაყენების უფლება. თუმცა, სხვას უნდა ჰქონდეს საკრებულოს თავმჯდომარის გადაყენების თაობაზე საკითხის დაყენების უფლება. კანონში როგორ წერია, არ მახსოვს.

მანამდე პრესკონფერენციაზე ვახტანგ ხმალაძეს ჰკითხეს, თბილისის საკრებულოს ნაციონალი წევრების პროკურატურაში დაბარების ფაქტზე.

***– თბილისის საკრებულოს 7 დეპუტატი ერთდროულადაა დაბარებულია პროკურატურაში. საკრებულოს ნაციონალი დეპუტატები აცხადებენ, რომ მიმდინარეობს ბრძოლა დედაქალაქის თვითმმართველობის ხელში ჩასაგდებად?***

– რატომ არის დაბარებული პროკურატურაში 7 კაცი, ან 1 კაცი, ან 35 კაცი, ამ კითხვაზე პასუხს მე ვერ გაგცემთ, ვინაიდან პროკურატურაში მათ პროკურორი იბარებს. მე არ ვერევი და უფლება არ მაქვს ჩავერიო პროკურატურის საქმიანობაში. მეორე – პროკურატურაში შეიძლება 7 კაცი დაიბარონ, შეიძლება – 27 კაცი. თუ პროკურატურას დაბარების კანონიერი საფუძველი აქვს, მას აქვს უფლება დაიბარონ ისინი, დამიბარონ მე, დაგიბარონ თქვენ. რატომ ხდება მათი დაბარება? ზოგადად, რატომ ხდება უფრო ხშირად ძველი ხელისუფლების წარმომადგენლების დაბარება? მე ყველას ყურადღება მინდა მივაქციო ერთ რამეს – პირველ ოქტომბრამდე ყველა თანამდებობა სახელმწიფო დონეზე, თვითმმართველობის დონეზე ეკავათ მხოლოდ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წევრებს. საკრებულოებში, მთელი საქართველოს მასშტაბით, დეპუტატი, რომელიც არ იყო ნაციონალური მოძრაობის წევრი, იყო 1-დან სამამდე. თუ რაიმე დარღვევა მოხდა წინა წლებში, დამრღვევი ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო? მხოლოდ ნაციონალური მოძრაობის წევრი იმიტომ, რომ მათ ეკავათ თანამდებობები. ძალიანაც რომ მოენდომებინათ, რესპუბლიკური პარტიის წევრის დაბარების საფუძველი არ იქნებოდა, რადგან არ არსებობდა ბუნებაში რესპუბლიკური პარტიის წევრი, რომელსაც ეკავა რაიმე თანამდებობა. ასე რომ, ეს ნუ გაგიკვირდებათ. დარღვევები რომ ხდება ხელისუფლებაში, ცხადია. ჩვენს ხელისუფლებაშიც იქნება დარღვევები, აუცილებლად იქნება, რადგან არ არსებობს ბუნებაში ხელისუფლება, სადაც თანამდებობის პირები არ არღვევდნენ კანონს, ნებსით თუ უნებლიეთ. შესაბამისად, სასჯელი იქნება სხვადასხვა.

მერის უფლებამოსილების საკითხზე ვახტანგ ხმალაძემ განაცხადა, რომ ჯერ კიდევ წლების წინ, საკრებულოსა და თბილისის შესახებ კანონზე, საკრებულოსა და მერის უფლებამოსილებებზე წერდა.

მისი თქმით:

– ყოველთვის ვამბობდი, რომ მერის უფლებამოსილება არის ისევე უზომოდ გაბერილი, როგორც უზომოდ გაბერილია პრეზიდენტის უფლებამოსილებები. მერი, პრაქტიკულად, დამოუკიდებელია საკრებულოსაგან. საკრებულოს არ აქვს მერიის საქმიანობის კონტროლის რეალური ბერკეტები. საკრებულოს არ აქვს შესაძლებლობა, ზეგავლენა მოახდინოს მერიის მუშაობაზე. ამასვე ვამბობდი პრეზიდენტზე, მთავრობასა და პარლამენტზეც, რომ პარლამენტი, პრაქტიკულად, უუფლებოა. მას არ აქვს კონტროლის შესაძლებლობა. ასეთივე ვითარებაა საკრებულოშიც. ერთიც უნდა შეიცვალოს და მეორეც. როცა კონსტიტუციაში განსახორციელებელ ცვლილებებზეა საუბარი, ალბათ, მოგისმენიათ ჩემგან არაერთხელ, რომ ეს ნაწილიც უნდა შეიცვალოს კონსტიტუციისა, რომელიც ამოქმედდება პრეზიდენტის არჩევნების შემდეგ, რადგან იმ ნაწილის მიხედვით, პრემიერს ზომაზე მეტი უფლებები ექნება და ეს უფლებები უნდა შეიზღუდოს. ხომ ჩვენია პრემიერი, მაგრამ მე ვამბობ, რომ პრემიერის ზომაზე მეტი უფლებები უნდა შეიზღუდოს.

ასევეა საკრებულოსთან დაკავშირებით. საკრებულო ეს არის წარმომადგენლობითი ორგანო, არჩევითი. მერი ცალკეა არჩეული, მაგრამ მერია, მერის თამადობით, საკრებულოს აღმასრულებელი ორგანოა. მათი უფლებები უნდა იქნას გაწონასწორებული. ეს აუცილებლად გასაკეთებელია. თუ დაწყებულია ამ პროექტზე მუშაობა, მე მხოლოდ მივესალმები ამას.

ტელევიზიებით გიგი უგულავას აპიარებენ რაღაც დენის ტარიფთან დაკავშირებით. რეკლამაში ბოლოს ამბობენ, რომ „გიგიმ იცის, რა უნდა ხალხს". გიგის ალბათ ეს რეკლამა პრეზიდენტობისთვის სჭირდებოდა, მაგრამ ახლახან მოვისმინე, რომ გიგი უგულავა ნაციონალების პრეზიდენტობის კანდიდატი არ იქნებაო.

ასეა თუ ისე, ნაცების ბრძოლა ძალაუფლების გახანგრძლივებისთვისა და იმიჯის გამოსწორებისთვის გრძელდება.

# ცესკომ საარჩევნო სუბიექტების რიგითობა განსაზღვრა

ნათია ხურცილავა

საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ 27 აპრილის შუალედურ არჩევნებში მონაწილე საარჩევნო სუბიექტების რიგითი ნომრები განსაზღვრა.

ცესკოს გადაწყვეტილებით, შუალედური არჩევნებისათვის საარჩევნო სუბიექტების მიერ წარდგენილ მაჟორიტარ კანდიდატებს შემდეგი რიგითი ნომრები მიენიჭათ, კერძოდ – ნომერი 1 „კახა კუკავა – თავისუფალი საქართველო", ნომერი 4 – „ეროვნულ-დემოკრატიული პარტია", ნომერი 5 – პოლიტიკური გაერთიანება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა", ნომერი 9 – „სამართლიანი საქართველოსთვის", ნომერი 19 – პოლიტიკური მოძრაობა „თავისუფლება – ზვიად გამსახურდიას გზა", ნომერი 30 – „მერაბ კოსტავას საზოგადოება", ნომერი 36 – პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს მშრომელთა საბჭო", ნომერი 38 – „შალვა ნათელაშვილი – საქართველოს ლეიბორისტული პარტია", ნომერი 41 – საარჩევნო ბლოკი „ბიძინა ივანიშვილი – ქართული ოცნება".

როგორც ცნობილია, 27 აპრილს ნაძალადევში, სამტრედიასა და ბაღდათში შუალედური არჩევნებია დაგეგმილი.

პარლამენტის შუალედური არჩევნებისთვის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატების დოკუმენტაციის წარდგენის ვადა უკვე ამოიწურა.

დარეგისტრირებული კანდიდატების სია ცესკომ უკვე გამოაქვეყნა. მათი მონაცემებით: ნაძალადევის საარჩევნო ოლქში 11 კანდიდატი იყრის კენჭს: თამარ კორძაია – „ბიძინა ივანიშვილი – ქართულ ოცნება", მირზა-პაპუნა დავითაია – ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, გიორგი გუგავა – ლეიბორისტული პარტია, კახა კუკავა – „თავისუფალი საქართველო", გიორგი ლილუაშვილი – „მერაბ კოსტავას საზოგადოება", გია ნემსაძე – „საქართველოს მშრომელთა საბჭო", ზაზა მეზვრიშვილი – „თავისუფლება – ზვიად გამსახურდიას გზა", ხვიჩა ასანიძე – „მოძრაობა სამართლიანი საქართველოსთვის", იოსებ მანჯავიძე – საინიციატივო ჯგუფი, ზურაბ ქადაგიძე – საინიციატივო ჯგუფი, ზვიად ჩიტიშვილი – საინიციატივო ჯგუფი.

ბაღდათის საარჩევნო ოლქში რვა საარჩევნო სუბიექტია რეგისტრირებული: პაატა კიკნაველიძე – „ქართულ ოცნება", ვლადიმერ წიქორიძე – ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, დავით შარაბიძე – ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, არჩილ იოსელიანი – „საქართველოს მშრომელთა საბჭო"; ლაშა თამაზაშვილი – „თავისუფლება – ზვიად გამსახურდიას გზა", პაატა ბაკურაძე – „მოძრაობა სამართლიანი საქართველოსთვის"; ზურაბ მსხვილიძე – საინიციატივო ჯგუფი; რომან რობაქიძე – საინიციატივო ჯგუფი.

სამტრედიის საარჩევნო ოლქში კენჭს იყრის მაჟორიტარობის ხუთი კანდიდატი: გიორგი კახიანი – „ბიძინა ივანიშვილი – ქართულ ოცნება"; ემზარ შუბლაძე – ერთიანი ნაციონალური მოძრაობა; მორისონ ქობულია – „საქართველოს მშრომელთა საბჭო"; ბადრი გოგელაშვილი – „თავისუფლება – ზვიად გამსახურდიას გზა"; გოჩა ბაძგარაძე – „მოძრაობა სამართლიანი საქართველოსთვის".

ცესკო საარჩევნო კოდექსის თანახმად, კანდიდატების დოკუმენტაციას შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე რეგისტრაციაში 2 აპრილს გაატარებს.

# ვინ ბლოკავდა ცისანა ტატიშვილს?

ეკა ირემაშვილი

საოპერო მომღერალი ცისანა ტატიშვილი დღეს კონსერვატორიაში მუშაობს და ქართულ საოპერო ხელოვნებას მომავალ თაობებს უზრდის. საქართველოსა და საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი, თბილისის საპატიო მოქალაქე, ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორდენის კავალერი, ზაქარია ფალიაშვილისა და შოთა რუსთაველის სახელობის პრემიების ლაურეატი, შვეიცერის საპატიო მედლის მფლობელი, ღირსების ორდენოსანი ცისანა ტატიშვილი პირველი და ჯერჯერობით ერთადერთი სოპრანოა, რომელსაც 40-წლიანი ბრწყინვალე კარიერისთვის ქართველმა ხალხმა თბილისის ოპერის წინ ვარსკვლავი გაუხსნა. მისი იშვიათი სილამაზისა და ძალის დრამატული სოპრანო იმორჩილებდა და სძლევდა ნებისმიერ ვოკალურ სირთულეს. უცხოელი მუსიკალური კრიტიკოსები ხშირად აღნიშნავდნენ, რომ „დრამატული სოპრანო იშვიათად აღწევს ლირიკული სოპრანოს სისუფთავესა და ელასტიკურობას, ცისანა ტატიშვილი კი ამას მარტივად და ოსტატურად აკეთებს“.

ცისანა ტატიშვილის შემოქმედების დიდმა ტრფიალმა კახა ლაზარიშვილმა სპეციალური კრებული გამოსცა, რომელსაც „ცისანა ტატიშვილი“ ეწოდება და ის სამენოვანია – ქართული, რუსული და ინგლისური. წიგნში გაერთიანებულია საოპერო მომღერლის ცხოვრებიდან საუკეთესო მომენტები, მისი კოლეგების, მეგობრებისა და მისი ნიჭის თაყვანისმცემლების მოგონებები და შეფასებები.

წიგნში გაერთიანებულია დოდო ალექსიძის, გურამ ქაშაკაშვილის, თეიმურაზ გუგუშვილის, ზურაბ ანჯაფარიძის, მანანა დოიჯაშვილის, გიგა ლორთქიფანიძის, სოლიკო ვირსალაძის, გურამ მელივას, ვახტანგ ტაბლიაშვილის, დავით გამრეკელის, პეტრე ამირანაშვილის, ბათუ კრავეიშვილის, რობერტ სტურუას, მედეა ამირანაშვილის, ლამარა გოგლიჩიძის, ვაჟა ჩაჩავას, ალეკო ხომერიკის, ნანა დიმიტრიადის, ელდარ გეწაძის, ბიძინა კვერნაძისა და სხვათა შეფასებები.

„ბრწყინვალე მომღერალი ცისანა ტატიშვილი გავიცანი იმ დროს, როცა ის აპირებდა დაუფლებოდა საოპერო მომღერლის რთულ პროფესიას. რეპეტიციიდან სახლში დაბრუნებულს, სადარბაზოში შესვლისთანავე მომესმა ლამაზი ხმა. ჩემი მეუღლე კონსერვატორიის პედაგოგი იყო და სიმღერა არ გამკვირვებია, რადგან სახლში ხშირად მეცადინეობდნენ. ფრთხილად შევაღე ბინის კარი და სასტუმრო ოთახში მოვთავსდი სავარძელში. დასრულდა გაკვეთილი, კარი გაიღო და ჩემმა მეუღლემ წარმომიდგინა იშვიათი გარეგნობის გოგონა. ის ისეთი ლამაზი იყო, როგორიც მისი ხმა. დიდად ნაყოფიერი გამოდგა ცისანას ბრწყინვალე კარიერის დასაწყისში და შემდგომ მთელი შემოქმედებითი ცხოვრების მანძილზე ნოდარ ანდღულაძესთან მუშაობა. ნოდარი არის მისი პედაგოგი და პარტნიორიც. მათი მონაწილეობა სპექტაკლებში დაუვიწყარ შთაბეჭდილებას ახდენდა მსმენელზე. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ცისანა ტატიშვილის ხმა უნიკალური და საერთაშორისო მასშტაბისაა, რაც კიდევ ერთხელ დამტკიცდა მის მიერ სალომეას ურთულესი პარტიის შესრულებისას“, – ამბობს ოპერის მომღერალი თენგიზ მუშკუდიანი.

„მინდა მოვესიყვარულო ცისანას, როგორც დიდ მომღერალს, კოლეგას, პარტნიორს, ცისანას, როგორც პედაგოგს, როგორც მეგობარს და, რაც მთავარია, უკეთილშობილეს ადამიანს. მას ჰქონდა საშუალება დასავლეთის ქვეყნების ნებისმიერ თეატრში დამკვიდრებულიყო, მაგრამ სამშობლოსა და თავისი ხალხის სიყვარულმა გადასძლია, მან მთელი თავისი შემოქმედებითი პოტენციალი აქ, ქართულ მიწაზე დახარჯა. მიიღე ჩემგან გულითადი ძმური ამბორი, ჩემო საყვარელო ცისო“, – აცხადებს საოპერო მომღერალი თეიმურაზ გუგუშვილი.

„ცისანა ტატიშვილის უნიკალური ხმა ჩემზე მაგიურ ზემოქმედებას ახდენს. სცენაზე ყოველთვის შთამბეჭდავი იყო და მისი გარეგნობა ზედმიწევნით ესადაგებოდა ყველა იმ საოპერო როლს, რაც კი უმღერია თბილისში ან საზღვარგარეთ. მისი გმირები ძალიან ინდივიდუალურები იყვნენ. განსაკუთრებით გამოვყოთ სენტას, ორტრუდას („მფრინავი ჰოლანდიელი“, „ლოენგრინი“ – ვაგნერი), მსიამოვნებდა მისი სანტუცას მოსმენა („სოფლის პატიოსნება“ – მასკანი), აგრეთვე ტოსკას („ტოსკა“ – პუჩინი), ამელიას, ლეონორას, აიდას („ბალ-მასკარადი“, „ტრუბადური“, „აიდა“), რომელი ერთი ვთქვა. ცისანას სალომე (რიხარდ სტრაუსის „სალომე“) მისი შემოქმედების გვირგვინია, ეს ურთულესი პარტია დიდებულად იმღერა საბჭოთა კავშირის ყველა წამყვანი თეატრის სცენებზე. მისი სახით ჩვენს თეატრს, ზოგადად, ქართულ ვოკალურ ხელოვნებას ჰყავს ერთ-ერთი გამორჩეული მომღერალი, რომელმაც ღირსეულად დაიმკვიდრა ადგილი იმ ტიტანი მომღერლების გვერდით, ვინც ეროვნულ თეატრში იმ წლებში მღეროდნენ. ცისანა გულახდილი, გულწრფელი, ძალიან მეგობრული, კეთილგანწყობილი და სიკეთისმქმნელი ადამიანია. ვაფასებ მას, როგორც შესანიშნავ მომღერალსა და დიდბუნებოვან ადამიანს. მე მიხარია, რომ ვიყავი მისი პარტნიორი ვაგნერის „ლოენგრინის“ ჰერმან ვედეკინდისეულ დადგმაში“, – იგონებს ოპერის მომღერალი მედეა ამირანაშვილი.

„მსოფლიო საოპერო სცენაზე იშვიათად ჩნდებიან ისეთი პოტენციალის მომღერლები, რომლებიც იმღერებენ შტრაუსის „სალომეს“. გიგანტური მასშტაბის ექსპრესიონისტულ პარტიტურას, გაუძლებენ სალომეს როლის სულიერ თუ ფიზიკურ დატვირთვას, ცისანა ტატიშვილმა ეს მწვერვალიც დაიპყრო და ფართო რეზონანსიც მოიპოვა. მოსკოვის პრესამ ცისანა ტატიშვილი დააყენა მსოფლიო საოპერო ხელოვნების ვარსკვლავების ბირგიტ ნილსონისა და მონსერატ კაბალიეს გვერდით. ცისანა ტატიშვილის ვოკალური მასალა განსაკუთრებული მოვლენაა თავისი იშვიათი სპეციფიკით, ულამაზესი ტემბრით, ფერადოვანი კოლორიტით, განუსაზღვრელი სიღრმე-სიმაღლით. მის ხმას სტიქიური ენერგია, თანდაყოლილი პლასტიკურობა და ექსპრესია ახასიათებს. ვოკალის სპეციალისტები ასეთი მდიდარი ბუნების და მაღალი ხარისხის დრამატულ სოპრანოს ნამდვილ განძად მიიჩნევენ“, – დასძენს მუსიკისმცოდნე მანანა ახმეტელი.

„საკუთარ კარიერაზე ნაკლებად ზრუნავს ქართველი ადამიანი. შეიძლება მისთვის უმნიშვნელო საქმეს მიაქციოს ყურადღება და თავისი საზრუნავი გვერდით გადადოს, მე ვგულისხმობ კარგ ქართველებს, ასეთია ცისანა ტატიშვილი. „ცეცხლოვანი ანგელოზი“ უნდა დამედგა, პროკოფიევის საიუბილეო წელი იყო და ჯანსულ კახიძემ შემომთავაზა მემუშავა ამ ოპერაზე. რასაკვირველია, მთავარი პარტია ცისანას უნდა ემღერა. მე ვიცნობდი მას, როგორც შესანიშნავ სოპრანოს, ყოველთვის მხიბლავდა მისი არაჩვეულებრივი ხმა. მუშაობის პროცესში უფრო გამიძლიერდა სიყვარული მის მიმართ. ცისანა ბედნიერი ქალბატონია, ბედნიერი იყო და ბედნიერია დღესაც, რადგან მან მოძებნა თავის თავში ყველაფერი, თავისუფლებაც და ბედნიერებაც“, – აღნიშნავს რეჟისორი რობერტ სტურუა.

თავად საოპერო მომღერალი კი აცხადებს: „ხელოვანი ყველა თავის გამოვლინებაში მშვენიერი უნდა იყოს. შეამკოს და გაახალისოს ადამიანის ცხოვრება, დაეხმაროს მათ სიხარულშიც და მწუხარებაშიც, ასე მესმის მე მსახიობის დანიშნულება“.

მართლაც, მის რეპერტუარში იყო უამრავი სხვადასხვა ტიპის საოპერო ნაწარმოები, ხოლო რიხარდ შტრაუსის „სალომეას“ შესრულება, საბჭოთა სივრცეში პრაქტიკულად მხოლოდ მან შეძლო და მონსერატ კაბალიესთან და ბირგიტ ნილსონთან ერთად, მსოფლიოში სამეულში შევიდა. ქალბატონ ცისანას ევროპის მრავალ თეატრში უმღერია, მაგრამ მისთვის მაინც თბილისის ოპერის სცენა იყო ის პიედესტალი, რომელზეც ვერდიმ, მასკანიმ, პუჩინიმ, ვაგნერმა, შტრაუსმა, მისი საშუალებით გამოკვეთეს აიდა, ამნერისი, ებოლი, სანტუცა, ლეონორა, ტოსკა, სენტა, ორტრუდა, სალომე, ამელია და სხვა საოპერო სპექტაკლების პერსონაჟები.

როგორც მომღერალი იხსენებს, სიმღერის სიყვარული ბავშვობიდანვე გაუღვივდა. 8 წლის იყო, როცა კინოთეატრში დედასთან ერთად „დიდი ვალსი“ ნახა, სწორედ მილიცა კორიუსის შთამბეჭდავმა სიმღერამ და თამაშმა გადააწყვეტინა მას საოპერო მომღერლობა.

ცისანა ტატიშვილი განვლილ ცხოვრებასა და სამომავლო გეგმებზე „ახალ თაობას“ ესაუბრა.

**ცისანა ტატიშვილი:**

– ბავშვობა თბილისის ძველ უბანში, სოლოლაკში გავატარე. დედა ქეთევან ზანდუკელი, მარტო გვზრდიდა მე და ჩემს ძმას. მისი მოგონებებით და მონაყოლით ვიცნობდით მამას ბეჟან ტატიშვილს, რომელსაც თავის დროზე პარიზში, სილამაზის კონკურსში გაუმარჯვია, შემდეგ ირკუტსკში მიუღია სამხედრო განათლება და სამშობლოში დაბრუნებულა. ერთ ხანს სამხედრო კომისარი იყო, შემდეგ უნივერსიტეტში სამხედრო კათედრას ხელმძღვანელობდა. ერთ ავბედით საღამოს მეუღლისა და ახალდაბადებული ქალიშვილის მონახულების შემდეგ, სამშობიაროდან სახლში დაბრუნებულა, ამის შემდეგ მამა აღარავის უნახავს. მოგვიანებით გაიგო დედამ, რომ მისი მეუღლე დააპატიმრეს, გადაასახლეს და დახვრიტეს. დედა მეორედ აღარ გათხოვილა, იძულებული გახდა, სწავლისთვის თავი დაენებებინა, მუშაობა დაეწყო და შვილების აღზრდაზე ეზრუნა.

***– თქვენს არჩევანს, გამხდარიყავით საოპერო მომღერალი, ოჯახში როგორ შეხვდნენ?***

– ჩემს ძმას ძალიან უნდოდა მემღერა. ამ მხრივ სრულ მხარდაჭერას ვგრძნობდი. დედამ ხმის გასასინჯად სანდრო ინაშვილთან მიმიყვანა, რომელმაც მომისმინა და აღფრთოვანებულმა შემოჰკრა ტაში, მან თქვა „შენი ლამაზი, ობერტონებით მდიდარი, ძლიერი ხმა მოგცემს საშუალებას დადგე ნამდვილი ვარსკვლავი და ჩვენი სამშობლო ასახელო“. თავის ასისტენტს გულნარა ქართველიშვილს უხმო და დაავალა, ჩემთან დაეწყო მეცადინეობა, თავად მაესტრო მძიმედ იყო ავად და ლოგინს იყო მიჯაჭვული, ამიტომ ჩემთან მუშაობას ვერ შეძლებდა.

***– თქვენ ხომ ჯანო ბაგრატიონის ანსამბლში ცეკვავდით, არ გაგიჭირდათ ანსამბლის დატოვება?***

– საოცრად მორცხვი ბავშვი ვიყავი, ამიტომ ქართული ცეკვების შესასწავლად და სცენასთან შესაგუებლად დედამ ჯანო ბაგრატიონის ანსამბლში შემიყვანა. იქ ერთი წელი ვიცეკვე სოლო პარტიები, სხვათა შორის, ჩემი მეწყვილე გამოჩენილი მოცეკვავე ომარ მხეიძე იყო. წარმატებით გამოვდიოდით სხვადასხვა კონცერტზე, ამიტომ, როცა ჯანოსთან მივედი და ვუთხარი ანსამბლიდან წასვლის შესახებ, ცოტა განაწყენდა და მითხრა, შენც ახლა ნადეჟდა ხარაძეს არ აჯობოო. მე კი ვუთხარი, ჯანო, შენ აუცილებლად მოხვალ ჩემს სპექტაკლებზე და ლოჟიდან დამიკრავ ტაშსმეთქი. დავტოვე ანსამბლი და საკუთარი თავი მთლიანად სიმღერას მივუძღვენი.



***– ქალბატონო ცისანა, თეატრში ახალმისულს, რატომ გათავისუფლებდნენ?***

– თეატრში რომ მივედი, დამხვდა მოქმედი სოპრანოების რამდენიმე თაობა და ის ვითარება, რომელშიც ბრძოლა პირველობისთვის წესებს არ ითვალისწინებს. თავდასხმის ობიექტი ბევრჯერ ვყოფილვარ, ინიციატორი კი – არასოდეს. ჯანსულ კახიძეს გაუგია თურმე, თეატრიდან ჩემს გაშვებას რომ აპირებდნენ, როგორც პროფესიულად უვარგისი კადრისას. მან, პეტრე თომაძემ და შოთა კიკნაძემ თენგიზ მუშკუდიანს მიმართეს დასახმარებლად. თენგიზი უკვე პოპულარული და აღიარებული მომღერალი იყო. მისმა სიტყვამ გადაწყვიტა ჩემი ბედი. მივიდა დირექტორთან და უთხრა, ბრძანებისთვის ხელი არ მოეწერა. ამასობაში დეპოში გაიმართა კონცერტი და ვიმღერე არდიტის ვალსი. ვხედავდი დირექტორის კმაყოფილ სახეს, როგორი სიამოვნებით მისმენდა. მოგვიანებით აღუნიშნავს თენგიზთან საუბარში, კინაღამ გამოუსწორებელი შეცდომა დავუშვიო.

***– თეატრის პირველი სოპრანოს სტატუსი მალე დაისაკუთრეთ?***

– სომხეთის გასაბჭოების 50-ე წელს ვასილ მჟავანაძემ ერევანს წაგვიყვანა მე და აკადემიკოსი მელიქიშვილი იქ დაგეგმილ ღონისძიებებში მონაწილეობისთვის. 15-ვე რესპუბლიკების პირველი მდივნები და დელეგაციის წევრები მოგვამზადეს ბრეჟნევის დასახვედრად. თვითმფრინავიდან რომ ჩამოვიდა, სომხეთის პირველი მდივანი შეეგება, ერთმანეთს მიესალმნენ და ბრეჟნევი სტუმრების მწკრივისკენ წამოვიდა. ქართველები პირველები ვიდექით, ჯერ მჟავანაძეს ჩამოართვა ხელი, გადაეხვია და შემდეგ ჩემკენ გადმოდგა ნაბიჯი, ხელი ხელზე მომკიდა და თქვა: „ბაჟესტვენაია გრუზინკა, მიხარია, რომ პირადად გაგიცანით ერევანში“. შემდეგ ოპერის თეატრში წაგვიყვანეს, სადაც გალა-კონცერტი გაიმართა საბჭოთა კავშირის საუკეთესო შემსრულებელთა მონაწილეობით. გვიან საღამოს კი ვახშამზე მიგვიყვანეს, ვეებერთელა დარბაზში, სადაც საკონცერტო როიალი იდგა და უკრავდა კამერული ორკესტრი. სტუმართა შორის იყო მუსლიმ მაგომაევი. იგი მიუჯდა როიალს და სადღესასწაულო განწყობა ერთიორად გაზარდა. ამასობაში სომხეთის კულტურის მინისტრი მოვიდა ჩვენს მაგიდასთან და მთხოვა, მემღერა. მუსლიმმა მითხრა, ცისანა, მზად ვარ, დაგიკრა, თუ თანახმა ხარ, იმღეროო. ვიმღერე ტოსკას არია.

***– ტოსკას პარტიას ხშირად მღეროდით?***

– დიახ.

***– თქვენ ევროპის პრესტიჟულ თეატრებიდან ხშირად გქონდათ შემოთავაზებები. რატომ არ დარჩით იქ?***

– მიუნხენში გასტროლების დროს, სპექტაკლის შემდეგ, ჩემთან შემოვიდნენ ბაზელის, კიოლნის, ბერლინისა და ბონის თეატრების დირექტორები და მთხოვეს, მათთან მემღერა „ტრუბადური“. „გოს-კონცერტთან“ შეუთანხმებლად ვერ დავთანხმდებოდი, ხოლო როცა დავრეკე მოსკოვში ,ასეთი პასუხი მივიღე, დაბრუნდით, თორემ ველარასოდეს ეღირსებით ვერც ერთ გასტროლსო. ბევრი მაცდური შემოთავაზების მიუხედავად, ვერც სამშობლო დავტოვე და არც ოჯახი გავიმეტე სამუდამო წვალებისთვის. დავრჩი ჩემი თბილისის ერთგული. მახსოვს, პარიზის „გრანდ ოპერის“ მენეჯერმა მომისმინა ბერლინში, სპექტაკლის შემდეგ მოიყვანეს ჩემთან და ასეთი რამ მითხრა: მე შემიძლია, გაქციოთ მსოფლიო ვარსკვლავად, დამთანხმდით, გამომყევით პარიზში, იქ არაჩვეულებრივ პირობებს შეგიქმნით. დილის 6 საათზე სასტუმროს ეზოში დაგელოდებათ მანქანა, რომელიც აეროპორტში მოგიყვანთ, იქ მე დაგხვდებით და ერთად წავალთო. რასაკვირველია, დავფიქრდი ამ შთამბეჭდავ წინადადებაზე, მაგრამ ისევ ოჯახი დამიდგა თვალწინ. გამახსენდა, რომ დააპატიმრეს და დახვრიტეს „დიდი თეატრიდან“ წასული სოლისტების ოჯახის წევრები და კატეგორიული უარი ვუთხარი საკუთარ თავს მსოფლიო დიდებაზე. ბოლოს 90-იან წლებში ვიყავი ლონდონში და ავსტრიაში ინდივიდუალური გასტროლებით. ლონდონში ჩემმა აგენტმა „კოვენტ-გარდენის“ დირექტორთანაც მომიწყო მოსმენა. დამინიშნეს თერთმეტი სპექტაკლი „ტოსკა“, მაგრამ, თბილისის სამოქალაქო ომის გამო, მომავალ სეზონში ველარ შევძელი გამგზავრება. ბევრი იყო მსგავსი ხელისშემშლელი მომენტი.

***– „დიდ თეატრსა“ და „მარინის თეატრში“ გადასვლაზე რატომღა თქვით უარი?***

– პეტერბურგის „მარინის თეატრში“ სიმღერა ყოველთვის დიდი ბედნიერება იყო ჩემთვის და ერთმანეთზე უკეთესი საოპერო პარტიები მაქვს ნამღერი იქ. მაგრამ კლიმატის გამო პეტერბურგში მუდმივად ცხოვრებას ვერ შევძლებდი. რაც შეეხება „დიდ თეატრს“, 5-ჯერ იდგა საკითხი მოსკოვში ჩემი გადასვლის შესახებ, მაგრამ ჩემი იქ ყოფნა ბევრს არ აწყობდა და ყველა საშუალებით მიშლიდნენ ხელს. ბოლოს კი მე თვითონვე ვთქვი უარი, მგლების ხროვაში გამიჭირდებოდა თავის დაცვა.

***– რეჟისორმა ფელეზენშტეინმა ბერლინის ოპერაში სპექტაკლისთვის მზადება რომ დაიწყო, მთავარ პარტიებზე „აიდაში“ თქვენ და ნოდარ ანდღულაძე მიგიწვიათ. როგორც გახსენდებათ ეს პერიოდი?***

– პრემიერის დღე რომ მოახლოვდა, გადაღლილობისგან შეუძლოდ გავხდი. სასწრაფოდ წამიყვანეს კლინიკაში, საუკეთესო ექიმმა გამსინჯა, მერე გავიგე, რომ იგი ჰიტლერის პირადი ექიმი ყოფილა თავის დროზე. გამსინჯა და მირჩია, დავბრუნებულიყავი თბილისში, რათა დამესვენა. სხვა შემთხვევაში უკეთ ყოფნის იმედს ვერ მაძლევდა. რამდენიმე დღე იყო პრემიერამდე დარჩენილი და ვერაფრით დავტოვებდი სამუშაო პროცესს, ამიტომ კატეგორიულად ვიუარე. „მაოცებს თქვენი გამბედაობა და საქმის სიყვარული“, – მითხრა მან და დაამატა, რომ აუცილებლად მოვიდოდა სპექტაკლზე და მომისმენდა. გამამხნევა და დამარწმუნა, რომ სპექტაკლები ჩემი დიდი გამარჯვებით ჩაივლიდა. გამიხარდა, გავთამამდი სცენაზე, აქტიურად ჩავერთე სარეპეტიციო პროცესში და ერთ-ერთი რთული მიზანსცენის დროს დეკორაციაში ჩამივარდა ფეხი. დირიჟორმა ორკესტრი გააჩერა. დაძაბული ყველა მე შემომცქეროდა, ეგონათ, ფეხი მოვიტეხე. წამიყვანეს საავადმყოფოში და, საბედნიეროდ, მოტეხილობა არ აღმოჩნდა. პრემიერა შესანიშნავად ვიმღერეთ მე და ნოდარ ანდღულაძემ. ნოდარი ჩემი მაესტრო და საუკეთესო პარტნიორი იყო მრავალი ათეული წელი. მისი წასვლა ამქვეყნიდან მნიშვნელოვნად დააკლდება ქართულ ვოკალურ სკოლას.

***– ფონ კარაიანთან რატომ არ შედგა თქვენი შეხვედრა?***

**მაესტრო** 7.00, 5.35, 6.00 ახალი ამბების კოლაჟი 7.30, 12.30, 15.30, 17.10, 18.45, 5.55, 6.35 უცხოეთის ამბები 7.55, 10.55, 11.55, 12.55, 14.55, 15.55, 16.55, 18.55, 6.55 უკომენტაროდ+ამინდი 8.00, 9.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 0.00 ახალი ამბები 8.10, 9.10, 10.15 მაღვიძარა(დილის პროგრამა) 11.30, 22.00, 1.20 ყოველდღიური აბები (გამ) 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 13.15, 14.15, 4.00 თავისუფალი დრო (შუადღის პროგრამა) 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 16.10 მაესტროს პრესკლუბი 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 19.00 ახალი ამბები ინგლისურ ენაზე 19.05, 0.30 თოქ- შოუ „სუბიექტური აზრი„ 20.00 ამბები მოკლედ 20.05, 1.40 თოქ-შოუ - „არგუმენტები„ 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.20, 2.30 თოქ-შოუ „პოლიტმეტრი„

## ხუთშაბათი 4 აპრილი

06.30 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 „ჩვენი დილა„ (პ/ე) 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 20.00, 01.50 „მოამბე„ 11.00 „სამოთხის ვაშლები„ (პ/ე) 12.45 „პირადი ექიმი„ — მარი მალაზონია (პ/ე) 13.30 „დღეს ორის ნახევარზე„ 15.00 ტ/სერ „როსელა„ 17.00 დ/ფ „ანტიკური მსოფლიო„ 18.00 „პეპე და მეგობრები„ 18.30 ფეხბურთი. ევროპის 2014 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირის I ეტაპი: საქართველო — დიდი ბრიტანეთი (პ/რ „ოლიმპიკიდან„)შესვენებაზე: „მოამბე„ 21.00 ტ/სერ „როსელა„ 22.00 „დიალოგი დავით პაიჭაძესთან„ 23.00 სპორტული თოქ-შოუ: „არენა„ 00.00 მხ/ფ „თოვლის ანგელოზები„ (კ.ბეკინსეილი) 02.10 დ/ფ „გონებაში„

08.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ„ რუსულ ენებზე) 09.00, 12.00, 15.00, 17.00, 20.00 „ბრიფინგის დრო„ 11.00 დ/ფ „უხილავი სამყარო„ I ნაწ. 14.00 დ/ფ „სიცოცხლე„ 16.00 დ/ფ „უხილავი სამყარო„ 2 ნაწ. 19.00 ტ/სერ „საიდუმლო გამოძიებანი„ 8 სერ. 00.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ„ რუსულ ენებზე)

07.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 09.10 იმედის დილა (გაგრძელება) 10.00 სერ. „დაუვიწყარი„ 2 სერ. 11.20 სერ. „მაფიის ქვრივი„ 13.00 სერ. „24 – 6„ 14.40 კაცების შოუ (გ/ჩ) 15.35 რომ გადახვალ, გააჩერე 16.00 სერ. „დამალული სიმართლე„ 17.50 სერ. „თილისმა„ 18.50 სერ. „სახიფათო ვნება„ 21.00 სერ. „მარტოსული„ 22.00 მხ/ფ „ფართო ნაბიჯით„ (ე.სკოტი) 00.15 მხ/ფ „თაფლობის თვე„ (ჯ.ფრანკო) (ტიტ.) 01.45 მუსიკა

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. „სიყვარული მშვენიერია„ 11.00 სერ. „იდუმალი ქალი„ 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 12.30 „შუა დღე„ 15.30 კომედი შოუ (გ/ჩ) 17.00 სერ. „ვნების უფსკრული„ 18.45 სერ. „ცრემლების გვირგვინი„ 20.05 სერ „ერთგულების ძალა„ 22.00 პროფილი 23.30 ტოპ გოგო 01.00, 03.30 მხ/ფ 03.00 კურიერი დაიჯესტი კლიპები

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 06.35 მხ/ფ „ანა და მეფე„ I ნაწ. 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 „განთიადი„ 10.00, 18.05, 21.10 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 12.10, 18.55, 21.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.30 უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა 10.35, 21.05 ლექსით ქებათა ქება 10.40 დოკ/ფ „სიჩუმის მცველნი„ 11.00 დოკ/ფ „ლახტი„ 11.30 ეპოქის სახელები 12.05 ამინდი 12.10 კალამის წვერი,ბულბულის ნისკარტი 12.15 მხ/ფ „განაჩენი„ 13.35 კონცერტი - დები გოგოჭურები 14.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 15.55 მხ/ფ „წინამორბედი„ 18.10 დიდ ხარ შენ,უფალო 18.30 ქრისტიანული სწავლება 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ „ბრავო, ალბერ ლოლიშ„ 20.40 ძილი ნებისა 21.00 პატრიარქის ქადაგება 21.10 ერთსულოვნების სალონი 21.55 უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა 22.20 შაბათის სახარების განმარტება 22.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 22.55 კალამის წვერი,ბულბულის ნისკარტი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დოკ/ფ „კვართიდან ქართველთა გოლგოთამდე„ I ნაწ. 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 მხ/ფ „ანა და მეფე„ II ნაწ.

**მაესტრო** 7.00, 5.35, 6.00 ახალი ამბების კოლაჟი 7.30, 12.30, 15.30, 17.10, 18.45, 5.55, 6.35 უცხოეთის ამბები 7.55, 10.55, 11.55, 12.55, 14.55, 15.55, 16.55, 18.55, 6.55 უკომენტაროდ+ამინდი 8.00, 9.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 0.00 ახალი ამბები 8.10, 9.10, 10.15 მაღვიძარა(დილის პროგრამა) 11.30, 22.00, 1.20 ყოველდღიური აბები (გამ) 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 13.15, 14.15, 4.00 თავისუფალი დრო (შუადღის პროგრამა) 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 16.10 მაესტროს პრესკლუბი 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 19.00 ახალი ამბები ინგლისურ ენაზე 19.05, 0.30 თოქ- შოუ „სუბიექტური აზრი„ 20.00 ამბები მოკლედ 20.05, 1.40 თოქ—შოუ - „არგუმენტები„ 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.20, 2.30 თოქ-შოუ „პოლიტმეტრი„

## პარასკევი 5 აპრილი

06.30 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 „ჩვენი დილა„ (პ/ე) 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00, 02.30 „მოამბე„ 11.00 „სამოთხის ვაშლები„ (პ/ე) 12.45 „პირადი ექიმი„ — მარი მალაზონია (პ/ე) 13.30 „დღეს ორის ნახევარზე„ 15.00 ტ/სერ „როსელა„ 17.00 დ/ფ „მუზეუმის საიდუმლოებანი„ 18.00 „პეპე და მეგობრები„ 18.30 ფეხბურთი. ევროპის 2014 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირის I ეტაპი: საქართველო — სლოვაკეთი (პ/რ „ოლიმპიკიდან„) შესვენებაზე: „მოამბე„ 21.00 „ქართული დოკუმენტალისტიკა„ 22.00 „აქცენტები„ 23.30 „წითელი ზონა„ 00.30 მხ/ფ „შეხვედრა ვენერასთან„

08.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ„ რუსულ ენებზე) 09.00, 18.00, 20.00 „ბრიფინგის დრო„ 11.00 საქართველოს პარლამენტის სხდომის ტრანსლაცია 19.00 ტ/სერ „საიდუმლო გამოძიებანი„ 9 სერ. 00.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ„ რუსულ ენებზე)

07.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 09.10 იმედის დილა (გაგრძელება) 10.00 სერ. „დაუვიწყარი„ 3 სერ. 11.20 სერ. „მაფიის ქვრივი„ 13.00 სერ. „24 – 6„ 14.40 ახალი საბავშვო ხმა (გ/ჩ) 16.00 სერ. „დამალული სიმართლე„ 17.50 სერ. „თილისმა„ 18.50 სერ. „სახიფათო ვნება„ 21.00 სერ. „მარტოსული„ 22.00 თოქ შოუ — ღია ეთერი 00.15 მხ/ფ „შემზარავი წინათგრძნობა„ (ს.ბულოკი) 01.50 მუსიკა

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. „სიყვარული მშვენიერია„ 11.00 სერ. „იდუმალი ქალი„ 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 „შუა დღე„ 15.30 ეკი ვოკი (გ/ჩ)17.00 სერ. „ვნების უფსკრული„ 18.45 სერ. „ცრემლების გვირგვინი„ 20.05 სერ „ერთგულების ძალა„ 20.50 ეროვნული ლატარეა 22.00 პოზიცია 23.00 ვანოს შოუ 01.00, 03.30 მხ/ფ 03.00 კურიერი დაიჯესტი კლიპები

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 06.35 მხ/ფ „ანა და მეფე„ II ნაწ. 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 „განთიადი„ 10.00, 18.05, 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 12.10, 18.55, 21.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35 უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა 10.40, 21.25 ლექსით ქებათა ქება 10.45 მოკ/ფ „უსახელო უფლისციხელი„ 11.10 დოკ/ფ „კვართიდან ქართველთა გოლგოთამდე„ I ნაწ. 11.40 ქრისტიანული სწავლება 12.05 ამინდი 12.10 კალამის წვერი,ბულბულის ნისკარტი 12.15 მხ/ფ „ბრავო,ალბერ ლოლიშ„ 13.40 კონცერტი - ნიკა რაჭველი 14.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 15.55 დეკორატიული ფლორა 16.05 დიდი მარხვის სამოციქულო სახარების განმარტება - გ. სარია 16.20 მხ/ფ „ვალსი პეჩორაზე„ 18.10 დიდ ხარ შენ,უფალო 18.35, 23.15 ფოტოგალერეა 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ „როგორ ვიცხოვრო უშენოდ„ 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 მოგზაურობა სამშობლოში 21.55 უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა 22.25 ქრისტიანული ხელოვნება 22.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 22.55 კალამის წვერი,ბულბულის ნისკარტი 23.00 საღამოს ლოცვა 22.20 დიდი მარხვა 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 კვირიაკე 02.00 ირაო

**მაესტრო** 7.00, 5.35, 6.00 ახალი ამბების კოლაჟი 7.30, 12.30, 15.30, 17.10, 18.45, 5.55, 6.35 უცხოეთის ამბები 7.55, 10.55, 11.55, 12.55, 14.55, 15.55, 16.55, 18.55, 6.55 უკომენტაროდ+ამინდი 8.00, 9.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 0.00 ახალი ამბები 8.10, 9.10, 10.15 მაღვიძარა(დილის პროგრამა) 11.30, 22.00, 0.55 ყოველდღიური აბები (გამ) 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 13.15, 14.15, 4.00 თავისუფალი დრო (შუადღის პროგრამა) 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 16.10 მაესტროს პრესკლუბი 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 19.00 ახალი ამბები ინგლისურ ენაზე 19.05, 0.30 თოქ- შოუ „სუბიექტური აზრი„ 19.30, 1.20 თოქ—შოუ - „არგუმენტები„ 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.20, 2.30 თოქ-შოუ „პოლიტმეტრი„

## შაბათი 6 აპრილი

08.00 დ/ფ „მსოფლიო ოდისეები„ 08.30 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ ენებზე) 09.30 საბავშვო ან/ფილმი: „პატარა პრინცესა„ 11.00 „ეთნოგრაფიული ნარკვევები„ 11.30 საბ. ტ/სერ „პირველყოფილი„ 12.00, 16.00, 20.00, 02.15 „მოამბე„ 12.30 „AGVA-GEORGIA, 13.00 დ/ფ „მსოფლიო ოდისეები„ 14.00 მხ/ფ „მევერიკი„ (მ.გიბსონი) 16.30 „ჩემპიონთა ლიგის დღიური„ 17.00 დ/ფ „ექსტრაორდინარული ქალები„ 18.00 „ეტალონი„ 19.00 „გურმანია„ 21.00 „ევროვიზიის დღიური„ 21.30 დ/ფ „ფოტო„ 22.00 „ქართული დოკუმენტალისტიკა„ — ოკუპაცია: 23.00 „ახალი ქართული კინო„ 23.20 დ/ფ „გალობის რაინდები„ (რეჟ: ნ. ჯანელიძე) 00.10 მხ/ფ „პრესტი ჟი„ (ჰ .ჯეკმანი) 02.25 დ/ფ „გონებაში„

08.00 „მოამბე„ (აფხაზურ„ ოსურ„ სომხურ„ აზერბაიჯანულ„ რუსულ ენებზე) 09.00, 10.00, 15.00 „ბრიფინგის დრო„ 17.00 დ/ფ „ექსტრაორდინარული ქალები„ — უილის სიმპსონი 18.00 ფეხბურთი — საქართველოს ჩემპიონატი: (პ/რ) 20.00 მხ/ფ „ტკბილი ნოემბერი„ (შ. ტერონი) 22.00 ტ/სერ „მდივნები მეექვსე სართულიდან„ 2 სერ. 23.00 მხ/ფ „აპალუზა„ (ტიტ.) (რ.ზელვეგერი)

07.35 ან/ფ „სალადინი„ 08.35 მხ/ფ „საჰარა„ 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00 ქრონიკა 11.15 ან.ფ. „ავატარი„ 12.00 ქ.სერ. „შუა ქალაქში„ 13.00 იუმორინა 14.20 მხ/ფ „ტყუპების ეფექტი„ 16.00 სერ. „ტრიფილების დღე„ 1 სერ. 17.50 სერ. „თილისმა„ 18.50სერ.„სახიფათო ვნება„ 21.00 სერ. „მარტოსული„ 22.00 ქ.სერ. „შუა ქალაქში„ 23.00 კაცების შოუ 00.00 მხ/ფ „ლამაზმანი და მაწანწალა„ (რ.ლ.ბრაუნი) 02.10 მხ/ფ „საშობაო ამბავი„ (პ.კრუსი) (ტიტ.) 03.45 მუსიკა

08.00 კურიერი დაიჯესტი 08.30MTVROOMRAIDERS09.00 ანიმაცია „პატარა პრინცი„ 09.30 სერ. „კლუბი„ (ს2) 10.30 შერეკილები 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.00 კურიერი 12.30 ბიზნეს კურიერი 15.30 სერ. „სიყვარული და საიდუმლო„ 16.30 „ნანუკას შოუ„ - (გ/ჩ) 18.45 სერ. „ცრემლების გვირგვინი„ 20.05 სერ„ერთგულების ძალა„ 22.00 სერ. „ჩემი ცოლის დაქალები„ 23.00 რა? სად? როდის? 00.00 პოკერის ტურნირი 00.30 ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა 02.00, 04.30 მხ/ფ კლიპები

06.00, 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 06.35 დოკ/ფ „პლანეტა დედამიწა„ 07.35 მოგზაურობა სამშობლოში 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 ჩვენი ფონდი 09.05 „განთიადი„ (კოლაჟი) 10.05, 18.05, 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.10, 12.10, 18.55, 21.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.15, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.40 უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა 10.45, 18.10 ფოტოგალერეა 10.50 კვირიაკე 12.05 ამინდი 12.10 კალამის წვერი,ბულბულის ნისკარტი 12.15 მხ/ფ „როგორ ვიცხოვრო უშენოდ„ 13.25 ქრისტიანული სწავლება 13.35 დოკ/ფ „ქართული მხედრობა პოლონეთში„ 14.30 საღვთისმსახურო წელიწადი 14.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 15.10 ოპერა-„ლუჩია დე ლამერმური„ 17.40 თბილისის ტაძრები 18.15 ქრისტიანული ხელოვნება 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 გამოყენებითი ხელოვნება 19.35 ქართული ალბომი 20.00 ერთსულოვნების სალონი 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.25 ლექსით ქებათა ქება 21.30 „კარაბადინი„ 21.55 უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა 22.25 პორტრეტი „ერთსულოვნების„ გალერეიდან 22.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 22.55 კალამის წვერი,ბულბულის ნისკარტი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 სიმღერის კვალდაკვალ 00.30 მხ/ფ „ვატერლოო„

**მაესტრო** 7.00, 0.00, 1.00, 3.00, 5.00, 5.55 ახალი ამბების კოლაჟი 7.30, 13.25, 14.25, 15.30, 16.25, 16.35, 17.25, 18.45, 19.10, 21.40, 0.30, 4.30, 5.25, 6.20 უცხოეთის ამბები 8.30 კვირის არგუმენტები (გამ) 10.00 მაღვიძარა (კოლაჟი) 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 12.30, 13.05, 14.05, 16.05, 17.05 ყოველდღიური აბები (გამ) 12.55, 13.55, 14.55, 15.55, 16.55, 17.55, 20.55, 6.55 უკომენტაროდ+ამინდი 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00 ამბები მოკლედ 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 20.10, 1.30 სტუდია მონიტორის ჟურნალისტური გამოძიება 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.00, 2.00 „პრეს-პრესი„ 23.00, 3.30 „ჩვენ„ - თამარ ჩიქოვანთან ერთად

## კვირა 7 აპრილი

08.00 ანიმაციური/ფილმი: „ორი ლოთხენი„ 09.30 საბ/ფ „ფიქრები თავისუფლებაზე„ 11.00 „ჩვენი ექსპრესი„ 11.30 საბ. ტ/სერ „პირველყოფილი„ 12.00, 16.00 „მოამბე„ 12.30 ფეხბურთი. ევროპის 2014 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირის I ეტაპი: საქართველო — ჩეხეთი (პ/რ „ოლიმპიკიდან„)14.00 „სპექტაკლის დრო„ — შ. რუსთაველის თეატრის სპექტაკლი: „ვალი„ 16.30 „ჩვენი ეზო„ 17.30 „ვაშინგტონი დღეს„ 18.00 „დონ კიხოტი„ — ირმა ნიორაძე 20.00 მხ/ფ „ოსტინ პაუერსი გოლდმემბერი„ (მ.მაიერსი) 22.00 „ქართული დოკუმენტალისტიკა„ — ოკუპაცია: 23.00 „აღმოაჩინე საქართველო„ 23.30 „უცნობი მუსიკა„ 00.30 კონცერტი 01.30 მხ/ფ „კარზე ვინ მიკაკუნებს„ (ჰ.კეიტელი)

08.00 დ/ფ „როცა ეგვიპტელებიწითელ ზღვაზედაცურავდნენ„09.00 „ბრიფინგის დრო„ 10.00 მხ/ფ „ოქროს კომპასი„ (ნ.კიდმანი) 12.00 მხ/ფ „ტროა„ (ბ.პიტი) 15.00 საქართველოს პარლამენტის სხდომები 18.00 მხ/ფ „პიკის საათი-3„ (კ. ტაკერი) 19.30 დ/ფ „მსოფლიო ოდისეები„ — „ნეაპოლი„ 20.00 მხ/ფ „დაჯავშნას არ საჭიროებს„ (კ.ზეტა-ჯონსი) 22.00 ტ/სერ „მდივნები მეექვსე სართულიდან„ 3 სერ. 23.00 მხ/ფ „ჩრდილოეთის ქვეყანა„ (ტიტ.) (შ.ტერონი)

08.00 ან/ფ „სალადინი„ 09.00 მხ/ფ„გენიოსი ბავშვები 2„ 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00 ქრონიკა 11.15 ბასტი ბუბუ 12.00 ქ.სერ. „შუა ქალაქში„ 13.00 იუმორინა (გ/ჩ) 14.20 ქ.მხ/ფ „მზე შემოდგომისა„ 16.00 სერ. „ტრიფილების დღე„ 2 სერ. 17.40 იმედის გმირები 18.00 კონცერტი: „ნატო გელაშვილი"21.15 ღამის შოუ 22.00 ქ.სერ. „შუა ქალაქში„ 23.00 რომ გადახვალ, გააჩერე 23.25 მხ/ფ „ორფეუსის სანაპირო ტ 36„ (დ.ოტეი) 01.15 მხ/ფ „მოგზაური„ (დ.არკეტი) (ტიტ.) 02.50 მუსიკა

08.00 კურიერიჰ დაიჯესტი 08.30 MTV ROOM RAIDERS 09.00 ანიმაცია „პატარა პრინცი„09.30 სერ. „კლუბი„ 10.30 შიშის ფაქტორი 12.00, 15.00, 18.00, 04.00 კურიერი 12.30 დოკ/ფ (ფრაგმენტი) 15.30 სერ. „სიყვარული და საიდუმლო„ 16.30 პროფილი (გ/ჩ) 19.00 ეკი ვოკი 20.00 იღბლიანი ბორბალი 21.00 P.S. 22.00 სერ. „ჩემი ცოლის დაქალები„ 23.00 კომედი შოუ 00.00 კარდაშიანების ოჯახი (ს2) 01.00 ტოპ გოგო (გ/ჩ) 02.00, 04.30 მხ/ფ კლიპები

06.00, 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 დოკ/ფ „ველური ბუნება„ 06.35 მულტფილმი 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 ქრისტიანული სწავლება 08.45 დეკორატიული ფლორა 09.05 „განთიადი„ (კოლაჟი) 10.05, 21.25 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.10, 12.10, 22.55, 00.05 ისტორიის დღიური 10.15 სიახლენი 10.40 უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა 10.45, 21.35 ლექსით ქებათა ქება 10.50 სიმღერის კვალდაკვალ 11.30 ქართული ალბომი 12.05 ამინდი 12.10 კალამის წვერი,ბულბულის ნისკარტი 12.15 მხ/ფ „ლომა – დავიწყებული მეგობარი„ 13.30 ქართული მულტფილმები 13.55 დიდი მარხვა 14.30 კარაბადინი 15.05 პატრიარქის ქადაგება 15.25 მგზავრები წუთისოფლისა 15.50 ერთსულოვნების სალონი 16.35 ეპოქის სახელები 17.00 საღვთისმეტყველო საუბრები 17.40 დოკ/ფ „საპოვნელა„ 18.05 პატრიარქის ქადაგება 18.30 დროის ჩანაწერები 19.40 დოკ/ფ „გიხაროდენ მომადლებულო„ 20.00 დოკ/ფ „წინაპართა ნაკვალევზე„ 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა 21.40 „ხარება„ 21.55 „კვირიაკე„ 22.55 კალამის წვერი,ბულბულის ნისკარტი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დოკ/ფ „გიხაროდენ ქალწულო და დედაო„ 00.10 პატრიარქის ქადაგება 00.35 მხ/ფ „გვირაბი„

**მაესტრო** 7.00, 23.00, 0.00, 1.00, 3.00, 4.00, 5.00, 6.00 ახალი ამბების კოლაჟი 7.30, 12.30, 14.05, 15.30, 17.35, 20.45, 22.00, 0.25, 2.30, 3.30, 4.30, 5.30, 6.30 უცხოეთის ამბები 10.00 მაღვიძარა (კოლაჟი) 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 12.55, 14.55, 15.55, 16.55, 17.55, 20.55, 6.55 უკომენტაროდ+ამინდი 13.00 პრეს-პრესი (გამ.) 14.00, 16.00, 17.00, 20.00 ამბები მოკლედ 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 16.05 „ჩვენ„ თამარ ჩიქოვანთან ერთად (გამ.) 17.05 მონიტორის ჟურნ. გამოძიება (გამ) 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 19.00, 1.30 დისკუსია - სტუდია „რე„ 20.10, 23.25 ღია კარის დღე 21.00 ახალი ამბები 9 საათზე

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით

# ბორის ბერეზოვსკი: მკვლელობა თუ თვითმკვლელობა?

ბორის ბერეზოვსკის ცხედარი სააბაზანო ოთახთან იპოვეს. ყელზე მარყუჟი ჰქონდა ჩამოცმული. ჯერ გაურკვეველია, ეს მკვლელობაა თუ თვითმკვლელობა, თუმცა, უდავოა ერთი: სიკვდილი გაგუდვამ გამოიწვია, – ასეთი განცხადება ინგლისელმა ძალოვნებმა გააკეთეს.



ბორის ბერეზოვსკი (1946-2013) თანამედროვე რუსული პოლიტიკის ერთ-ერთი ყველაზე კოლორიტული პერსონაჟი იყო. ბორის აბრამოვიჩის ბიოგრაფია მართლაც კარგი დეტექტიური რომანივით იკითხება.

– ცხოვრებაში უამრავი სირთულე შემხვდა, – იგონებს ბერეზოვსკი, – მართალია, ინგლისური სპეცსკოლა დავამთავრე, მაგრამ ცხოვრებაში დამკვიდრება გამიჭირდა. მსურდა ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე მოწყობა, მაგრამ არ გამოვიდა, რადგან ებრაელი ვარ.

იულიან სემიობოვის ცნობით, ბერეზოვსკი სწორედ მაშინ გახდა სუკის აგენტი, რისი წყალობითაც ორი უმაღლესი დაამთავრა, სადოქტოროც დაიცვა.

– სუკი მას ისრაელის დაზვერვასთან თამაშებისათვის იყენებდა, – წერს სემიონოვი,––პირველი დიდ ფულიც ბერეზოვსკიმ მაშინ იშვა. ის ნარკობიზნესში იყო ჩაბმული.

„პერესტროიკის" წლებში გაზეთებში ბერეზოვსკის სტატიები გამოჩნდა. ისინი ძირითადად ეკონომიკის პრობლემებს ეხებოდნენ. დიდ პოლიტიკაში კი ბერეზოვსკი სსრკ-ს დაშლის შემდეგ მოვიდა.

– მაშინ კომუნისტური რევანშის საფრთხე რეალური იყო ასევე აუცილებელი გახლდათ ელცინის დაცვის უფროსის გენერალ კორაკოვის გავლენის განეიტრალებაც. ბერეზოვსკის ამოცანაც ეს იყო, – წერს „სოვერშენნო სეკრეტნო".

ბერეზოვსკის დაწინაურებას ხელს უწყობდა რუსეთის უშიშროებაში არსებული გარკვეული კლანი. მათი წყალობით ბორის აბრამოვიჩი ელცინის ოჯახზე გავიდა. მალე მოსკოვში გავარდა ჭორი: ბერეზოვსკი ელცინის ქალიშვილის საყვარელი გახდაო. შესაძლოა, ეს მართლაც ჭორია, მაგრამ, უდავოა ერთი: ბერეზოვსკი და რუსეთის პრეზიდენტის ქალიშვილი ახლო მეგობრები იყვნენ.

– ბერეზოვსკიმაც თავისი ქონება კიდევ უფრო გაზარდა, – წერს „სოვერშენნო სეკრეტნო".

ეს ის პერიოდია, როცა რუსეთში წარმოება ჩავარდა, ქარხნები გაჩერდა, მოსახლეობა თვეების მანძილზე ვერ იღებდა ისედაც მწირ ხელფასებსა და პენსიებს. ბერეზოვსკიმ კი ეროვნული სიმდიდრეები ხელთ ჩალის ფასად ჩაიგდო. ბორის აბრამოვიჩი კონკურენტებს გზიდან დაუნდობლად იცილებდა.

– არსებობს ვერსია, რომ ვლად ლისტევის მკვლელობა სწორედ ბერეზოვსკიმ შეუკვეთა, – წერს „სოვერშენნო სეკრეტნო".

ბერეზოვსკიმ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა როგორც კომუნისტების, ასევე კორჟაკოვის განეიტრალების საქმეში. მიუხედავად ამისა, დასავლეთი (უწინარეს ყოვლისა, აშშ) მისი აღზევებით უკმაყოფილებას ვერ მალავდა (ბერეზოვსკის მაშინ რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივნის პოსტი ეკავა). ამერიკაში ცერად უყურებენ მათ, ვინც საეჭვო გზებით გამდიდრდა. ბერეზოვსკის წარსული და აწმყო კი, რბილად რომ ვთქვათ, ბევრ შეკითხვას ბადებდა.

– ვაშინგტონში პირდაპირ აცხადებდნენ, რომ ბერეზოვსკი მათთვის არასასურველი პიროვნებაა, – ამტკიცებს რადიო „თავისუფლება".

ბორის აბრამოვიჩი პროექტ „პუტინის" ერთ-ერთი ავტორი იყო. სწორედ ბერეზოვსკიმ დააფინანსა შამილ ბასაევის ცნობილი ლაშქრობა ბუდიონოვსკზე. შედეგად ჩეჩნეთში საომარი მოქმედებები განახლდა. პუტინმაც თავის მტკიცე ხელი ყველას აჩვენა.

– პუტინი პრეზიდენტი სწორედ ამ ტალღაზე გახდა, – აღნიშნავს რადიო „თავისუფლება".

ბორის აბრამოვიჩის პრობლემებიც აქედან დაიწყო. ბერეზოვსკის დაავიწყდა, რომ სავალალოა მათი ბედი, ვინც მეფე ტახტზე აიყვანა. პუტინმაც მის წინააღმდეგ ნამდვილი „ჯვაროსნული ლაშქრობა" დაიწყო.

– მალე ბერეზოვსკი იძულებული გახდა, რუსეთიდან ინგლისში გადახვეწილიყო, – იტყობინება რადიო „თავისუფლება".

ბორის აბრამოვიჩი მარცხთან შეგუებას არ აპირებდა. მან კავშირი დაამყარა პუტინით უკმაყოფილო რუს პოლიტიკოსებთან, ჩეჩნების ლიდერ ზაკაევთან. ბორის აბრამოვიჩის ასეთი საბრძოლო შემართება ბრიტანეთის ხელისუფლებას ნამდვილად არ მოსწონდა.

– ბერეზოვსკი ინგლისის კონტრდაზვერვის მეთვალყურეობის ქვეშ იყო. მას არაერთი პრობლემა შეუქმნეს, – ამბობს ბი-ბი-სი.

ბერეზოვსკის ახლობლები ერთხმად ამტკიცებენ, რომ უკანასკნელ დღეებში ბორის აბრამოვიჩი შესამჩნევად მოტყდა. ბერეზოვსკი სისტემატურად იღებდა ანტიდეპრესანტებს, მეგობრების წრეში კი სულ უფრო ხშირად ლაპარაკობდა თვითმკვლელობაზე.

– რასაკვირველია, ჯერ არ შეიძლება ვთქვათ, ბერეზოვსკი მოკლეს თუ თავი მოიკლა! გამოძიება ყველაფერს დაადგენს, – იტყობინება ბი-ბი-სი.

ბერეზოვსკის სიკვდილმა გული არავის დასწყვიტა. „ახალი დროის რასპუტინი" – ასეთია როგორც რუსი, ისე დასავლელი ექსპერტების კომენტარები. მოკლეს ბორის აბრამოვიჩი თუ მან სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა? ამას, იმედია, გამოძიება დაადგენს.

**ნიკა თევზაძე**

## იტალიელი მემარცხენე ცენტრისტების ლიდერმა კოალიციური მთავრობის ჩამოყალიბება ვერ შეძლო

იტალიელი მემარცხენე ცენტრისტების ლიდერმა პიერ ლუიჯი ბერსანმა ერთკვირიანი უშედეგო მოლაპარაკებების შემდეგ კოალიციური მთავრობის ჩამოყალიბება ვერ შეძლო. რომში სიტყვით გამოსვლისას, ბერსანმა სხვა პარტიების მიერ წამოყენებულ მოთხოვნებს მიუღებელი უწოდა.

დერსანის დემოკრატიულმა პარტიამ თებერვალში ჩატარებული არჩევნების შედეგად პარლამენტის ქვედა პალატაზე კონტროლი მოიპოვა, თუმცა მას მხოლოდ რამდენიმე ხმა დააკლდა იმისათვის, რომ სენატშიც მოეპოვებინა უმრავლესობა და უფლება იმისა, რომ თავად მოეხდინა მინისტრთა კაბინეტის ფორმირება.

შექმნილ სიტუაციაში ნაპოლიტანო აწარმოებს კონსულტაციებს იტალიური ოპოზიციური პარტიების პოლიტიკოსებთან და ყველასათვის მისაღები კომპრომისის მოძებნას ცდილობს. იმ შემთხვევაში თუ გადაწყვეტილება ნაპოვნი ვერ იქნა იტალიაში ახალი არჩევნები ჩატარდება.

იტალია საპარლამენტოა რესპუბლიკაა, პოლიტიკურ წყობა, სადაც სახელმწიფოს მეთაურს არ გააჩნია ისეთი ფართო უფლებები, როგორც საპრეზიდენტო რესპუბლიკაში, რადგანაც ამ უფლებების უდიდესი ნაწილი მინიჭებული აქვს მთავრობის მეთაურს (რომელსაც ჩვეულებრივ, პრემიერ-მინისტრს უწოდებენ). პრემიერ-მინისტრი ჩვეულებრივ უდიდესი საპარლამენტო პარტიისა თუ პარტიების კოალიციის მეთაურია და აღმასრულებელი ხელისუფლების ყველაზე მაღალი რანგის მინისტრი.

ასეთ რესპუბლიკებში პრეზიდენტი უმრავლეს შემთხვევაში მხოლოდ სიმბოლური წარმომადგენლობითი ფუნქციების მატარებელია (მაგალითად გერმანია, იტალია, ისრაელი). ზოგიერთ შემთხვევაში პრეზიდენტს შეიძლება კანონით მინიჭებული ჰქონდეს მთავრობის ყოველდღიური საქმიანობის სამართავად საჭირო, აღმასრულებელი უფლებები, მაგრამ დაუწერელი შეთანხმებით, ის ამ უფლებებს არ იყენებს.

## შავ ზღვაში რუსეთის მოულოდნელ წვრთნებს ნატო და უკრაინა აპროტესტებს

რუსული სააგენტო „ნიუსრუ.ქომის" ინფორმაციით, რუსეთის პრეზიდენტმა ვალადიმერ პუტინმა, გუშინ, დილის 4:00 საათზე რუსეთის თავდაცვის მინისტრი სერგეი შოიგუ გააღვიძა და შავ ზღვაში ფართომასშტაბიანი წვრთნების ჩატარების ბრძანება მისცა. წვრთნები შოიგუმ 15 წუთში დაიწყო. სააგენტოს ინფორმაციით, სამხედრო განგაში რუსეთის სამხრეთის სამხედრო ოლქის სადესანტო ძალებში გამოცხადდა. მალევე განგაში ატყდა რუსეთის შავი ზღვის ფლოტშიც.



წვრთნების მიზანია ზღვიდან დესტანტირების შესაძლებლობების გაზრდა, დესანტის გადასროლის ადგილის წინასწარი შესწავლა, დესანტის უშუალოდ გადასროლა და დესანტირებისას საჰაერო თავდაცვის უზრუნველყოფა.

ამასთან, ვლადიმერ პუტინი კრასნოდარის ოლქში ჩავიდა, რათა პირადად დააკვირდეს შავი ზღვის სანაპიროზე მიმდინარე ფართომასშტაბიან სამხედრო სწავლებას. ამის შესახებ „რია ნოვოსტი" იუწყება.

გამოცემის ინფორმაციით, რუსეთის პირველი პირი კრასნოდარის მხარეში ქვეყნის თავდაცვის მინისტრ სერგეი შოიგუსთან ერთად ჩაფრინდა და ვერტმფრენით შემოუარა ოლქს, შემდეგ კი ანაპის სანაპიროზე დესანტის გადმოსხმას დააკვირდა.

მიმდინარე წვრთნებში დაახლოებით 7 ათასი ადამიანი მონაწილეობს. წვრთნებში ასევე ჩართულია 30 ხომალდი, დაახლოებით 250 ჯავშანმანქანა, სხვადასხვა დანიშნულების 50 საარტილერიო იარაღი, 20 საბრძოლო თვითმფრინავი და ვერტმფრენი, ასევე გენშტაბის სპეციალური ქვედანაყოფის სპეცდანიშნულების ძალები.

ასეთი მასშტაბური წვრთნების მოულოდნელად დაწყებას ნატოში უკმაყოფილება მოჰყვა. როგორც სააგენტო „ნიუსრი.ქომის" წყარო ნატოში აცხადებს, მართალია რუსეთი არ არის ვალდებული გააფრთხილოს ნატო წვრთნების შესახებ, თუმცა პარტნიორებს ასე არ ექცევიან.

წვრთნებმა უკმაყოფილება გაიწვია უკრაინაშიც. ოპოზიციური პარტია „ბატკივშინა" აცხადებს, რომ უკრაინამ უნდა გადახედოს შავი ზღვის ფლოტის უკრაინაში ბაზირების შესახებ შეთანხმებას. ამასთან დაკავშირებით მათ პარლამენტში საგამოძიებო კომისიის შექმნის შესახებ განცხადება შეიტანეს. კომენტარი გააკეთა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომაც. მათი თქმით, რუსული წვრთნები საფრთხეს არ წარმოადგენს და რუსეთი არ იყო ვალდებული წვრთნების წინ უკრაინული მხარე გაეფრთხილებინა.

ამ ფონზე, ამერიკის შეერთებული შტატები რუსეთის მიერ შავ ზღვაში მოულოდნელად დაწყებული სამხედრო წვრთნების გამო შეშფოთებული არ არის. ეს განცხადება აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის პრესსპიკერმა ვიქტორია ნულანდმა გააკეთა. მისი თქმით, შავ ზღვაში მიმდინარე სამხედრო წვრთნები საერთაშორისო შეთანხმების ფარგლებს არ სცდება.

**მოამზადა**
**გერა მამულაშვილმა**

## სამგლოვიარო განცხადებები



მეუღლე ფელიქს ჯანაშია, შვილები ნინო, ეკატერინე, შვილიშვილი ნიკა შევარდნაძე, ბიძაშვილები ვაჟა, ნანა, ლია მონასერიძეები, დეიდაშვილები ციცო, მალხაზ და გოჩა შუკაკიძეები, დედამთილი ქსენია პატარაია, მული ლონდა, მაზლი ოთარ ჯანაშიები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**თამრიკო გიორგის ასული ცხვედაძე-ჯანაშია**

პანაშვიდი: 31 მარტს, 1 აპრილს, პაოლო იაშვილის ქუჩა №3.

გამოსვენება: 2 აპრილს, 14 საათზე, ანჩისხატის ეკლესიიდან (შავთელის ქუჩა).

საქართველოს პენსიონერთა კავშირის გამგეობა ღრმა მწუხარებით იუწყება პენსიონერთა კავშირის აქტიური თანამშრომლის, საყოველთაოდ აღიარებული მშენებლის, დოქტორის, პროფესორის

**რეზო ტყემალაძის**

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს მის ოჯახს.

პეტრე ბერაია, დემურ გადელია, მელორ ტყეშელაშვილი, ვალერი კვარაცხელია, ივერი ჭელიძე, გია ციხისთავი, არნოლდ ჟვანია, საველი მარსაგიშვილი მწუხარებას გამოთქვამენ ზურაბ ტყემალაძის მეუღლის

**ირა გელანტია-ტყემალაძის**

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

## კროსვორდი ა



**შვეულად:** 1. ყავის მარცვლებსა და ჩაის ფოთლებში არსებული ალკალოიდი; 2. სახელმწიფო აზიაში; 3. საღებავი ნივთიერება, რომელიც ფერს აძლევს ცოცხალი ორგანიზმების ქსოვილებს; 4. უმაღლესი ხარისხის ბროლი; 5. ნახატი ბუნების ხედით; 8. მუნჯი კინოს ცნობილი ფრანგი კომიკოსი; 9. უწახნაგოდ დამუშავებული ძვირფასი ქვა; 12. ტკბილი, წვრილმარცვლოვანი, მაგარმერქნიანი ხილი; 13. სამართლებრივი მდგომარეობა; 16. ტკბილი, სადესერტო იტალიური ღვინო; 17. პოლონეთის პირველი პრეზიდენტი; 19. იაპონური იეროგლიფების სახელწოდება; 20. მფრინავი ძუძუმწოვარა ცხოველი.

**თარაზულად:** 6. საცხენოსნო შეჯიბრების ხელმძღვანელი; 7. ჩრდილო აფრიკაში მცხოვრები არაბების ძველი სახელწოდება; 8. გრიგოლ რობაქიძის პიესა; 10. ქიმიური ნივთიერების მიღება მარტივ ელემენტთა შეერთების გზით; 11. ხერხემლის ძვალი; 14. გადატანითი მნიშვნელობით ნახმარი სიტყვა ან გამოთქმა; 15. ზომიერი მუსიკალური ტემპი; 18. უბანი თბილისში; 21. მდინარე ამსტერდამში; 22. სამხრეთამერიკელი მწყემსი; 23. ჰომეროსის ეპიკური პოემა; 24. ლუდის მწარმოებელი ქართული ფირმა.

**შეადგინა თ.გოგინაშვილმა**

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად**: 1. რემარკა; 2. ომნიბუსი; 3. ანოფელესი; 4. ჰორაციო; 5. ბერსალიერი; 10. ჰამერი; 11. ამნერისი; 12. მიუსერა; 13. ოკლუზია; 16. კარამბოლი; 17. კარავაჯო; 19. ასპარუხი; 21. კანტი; 23. ხორგო.

**თარაზულად**: 6. დეკამერონი; 7. კონსომე; 8. თრომბი; 9. დემენცია; 14. სკარლატი; 15. შტუტგარტი; 18. პასკა; 20. ლანქერი; 22. ბახმარო; 24. ჯალიტა; 25. მოდერატო; 26. ელგუჯა.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად**: 1. სპირალი; 3. ციცერონი; 2. ამირანი; 4. კორიფე; 5. თაკვერი; 8. ქანდარა; 9. კირჩხიბი; 12. ტრაპეცია; 13. კაუჩუკი; 16. ბერიკები; 17. გორგოძე; 19. იბერია; 20. მოხელე.

**თარაზულად**: 6. ოპტიმიზმი; 7. ხორბალი; 8. ქვევრი; 10. იავნანა; 11. გეთი; 14. აგასფერი; 15. ხაჭაპური; 18. ჰენესი; 21. ბოკვერი; 22. ჰონდა; 23. აპლიკე; 24. დისქავერი.

# ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


30 მარტი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 1,6597

ევრო — 2,1231

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,5105

100 რუსული რუბლი — 5,3776

## ამინდის პროგნოზი 30 მარტისთვის




## მამუკა გორგოძე ოსკაროსანია



ფრანგული ყოველდღიური სარაგბო გამოცემა „მიდი ოლიმპიკი“ საფრანგეთში ყველაზე პრესტიჟულ სარაგბო გაზეთს წარმოადგენს, რომელიც 1954 წლიდან ყოველწლიურად, „სარაგბო ოსკარით“ აჯილდოვებს საფრანგეთის ტოპ 14-ში და მოგვიანებით უკვე „ჰეინეკენის თასის“ სეზონის გამორჩეულ მორაგბეს.

ნომინაციაში გამარჯვებული მორაგბე სანახაობრივად და ქარიზმატულად უნდა თამაშობდეს როგორც ტოპ 14-ში, აგრეთვე „ჰეინეკენის თასზე“.

„მიდი ოლიმპიკმა“, ჯილდოს არსებობის ისტორიაში, „ოსკარით“ პირველად დააჯილდოვა ერთ-ერთი გამორჩეული ქართველი მორაგბე, „ბორჯღალოსნებისა“ და ფრანგული „მონპელიეს“ ლიდერი მამუკა გორგოძე.

„მიდი ოლიმპიკს“ მამუკა გორგოძისათვის ადრეც მიუნიჭებია ჯილდო — საფრანგეთში მოთამაშე საუკეთესო ლეგიონერი.

აღსანიშნავია, რომ მამუკა არა მხოლოდ პირველი ქართველი მორაგბეა, ვისაც „ოსკარი“ მიენიჭა, არამედ პირველი ისეთი ნაკრების მორაგბე, რომელიც არ მონაწილეობს 6 ერის თასზე.

ეს პრესტიჟული ჯილდო აგრეთვე მოპოვებული აქვთ ისეთ გამოჩენილ მორაგბეებს, როგორებიც არიან: ფაბიენ გალტიე (როგორც მორაგბეს 2003 წელს, როგორც „მონპელიეს“ მწვრთნელს 2011 წელს), მორგან პარა, დიმიტრი იაშვილი და სხვა.

## თორნიკე ოქრიაშვილი: თემურ ქეცბაია გუნდისთვის თამაშს გვთხოვს

საქართველოს ეროვნული გუნდისა და მარიუპოლის „ილიჩიოვეცის“ ნახევარმცველის, თორნიკე ოქრიაშვილის ინტერვიუ უკრაინულ მედიაში გამოქვეყნდა.

*— თავს როგორ გრძნობთ?*

— ყველაფერი წესრიგშია. მესამე დღეა გუნდთან ერთად ვვარჯიშობ. არაფერი მაწუხებს და უჟგოროდში გასამართი მატჩისთვის ვემზადები.

***— ახალგაზრდული ნაკრების შეკრება ბარძაყის ტრავმის მიზეზით გამოტოვეთ?***

— დიახ. ეროვნული გუნდის თამაშის უფლება დისკვალიფიკაციის გამო არ მქონდა, ხოლო ახალგაზრდულ ნაკრებს მიკროტრავ-

**გაგრძელება მე-9 გვერდზე**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. მოქმედი ვულკანი ანტარქტიდაში; 2. ინგლისელი მიკრობიოლოგი, რამდენიმე ვიტამინის აღმომჩენი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 3. რაიმეს აგებულება, აღნაგობა, წყობა; 4. ავტონომიური ოლქი ჩეხეთში; 5. კატასტროფა, წარღვნა; 10. მილიონის ძველი ქართული სახელწოდება; 11. სპორტული ნაგებობა; 12. ხელოვნური აბრეშუმი; 13. სამკურნალო დაწესებულება; 16. ლეონკავალოს ოპერა; 17. სამღებროების რიგი ძველ თბილისში; 19. დედამიწის ჩრდილო და სამხრეთ ნახევარსფეროებად გამყოფი წარმოსახვითი ხაზი გეოგრაფიულ რუკაზე; 21. თვითმფრინავის რეგულარული ფრენის მარშრუტი; 23. ხელოვნური წყალსაცავი დასავლეთ საქართველოში.

**თარაზულად:** 6. ციტრუსების მყნობისთვის გამოყენებული სამყურა ლიმონი; 7. მღვდლის ცოლი; 8. ავტონომიური ოლქი სამხრეთ ესპანეთში; 9. ტროას ომის გმირი; 14. დაქირავებული ტაშის დამკვრელი კონცერტზე, თეატრალურ წარმოდგენაზე; 15. პირისახისა და სხეულის კანის მოვლა-გალამაზება; 18. მოკლენიჩბიანი სპორტული ნავი; 20. ბაღი ძველ ათენში, სადაც განთავსებული იყო არისტოტელეს ფილოსოფიური სკოლა; 22. ჰიდროტექნიკური ნაგებობა მდინარეზე; 24. ოთხშაბათის ძველი ქართული სახელწოდება; 25. ცოცხალი ორგანიზმის რეაქცია გარეგან გაღიზიანებაზე; 26. ბოშათა წინამძღოლი.

**შეადგინა თ.კოპალეიშვილმა**




## უნივერსიტეტის დაცხრილვის შედეგად დამასკოში 15 სტუდენტი დაიღუპა

დამასკოს უნივერსიტეტის 15 სტუდენტი ნაღმმტყორცნით დაცხრილვის შედეგად დაიღუპა. სირიული მედია ყოველივე ამაში ბაშარ ასადის რეჟიმთან მებრძოლ ამბოხებულებს ადანაშაულებს. ლონდონში არსებული ადამიანის უფლე-



ბების დაცვის სირიული ცენტრის ინფორმაციით, გარდაცვლილთა რაოდენობა 13-ია, თუმცა გავრცელებულ ინფორმაციაში არ არის დაკონკრეტებული თუ ვინ არის ამ დაცხრილვაზე პასუხისმგებელი. ინფორმაციას ამის შესახებ „ბი-ბი-სი“ავრცელებს.

თავდასხმის შედეგად ყველაზე მეტად არქიტექტურის ფაკულტეტი და სტუდენტური სასადილო დაზიანდა.

აღსანიშნავია, რომ დამასკოს უნივერსიტეტი ქვეყნის თავდაცვის სამინისტროს, სახელმწიფო მედიასაშუალებებისა და საპრეზიდენტო რეზიდენციის ახლოს მდებარეობს.

სასტიკი ბრძოლები დამასკოს მიდამოებში არ წყდება. ამბოხებულებმა უკვე გააკეთეს განცხადება იმის შესახებ, რომ დამასკოსათვის ბრძოლის ახალ ეტაპს იწყებენ და რომ მათ იარაღის ახალი პარტია მიიღეს.

ამასთან, სირიელმა მეამბოხეებმა ირანული სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავი ჩამოაგდეს, რომელიც დამასკოს საერთაშორისო აეროპორტის ტერიტორიაზე ჩამოვარდა. ამის შესახებ, თავად მებრძოლები იუწყებიან.

თვითმხილველების ინფორმაციით, ინციდენტის შემდეგ აეროპორტში ცეცხლი გაჩნდა, რომლიდანაც წამოსული კვამლი რამდენიმე კილომეტრზე ჩანდა. ვიდეო მტკიცებულება ამის შესახებ არ გამოქვეყნებულა, თუმცა სირის მთავრობამ აღიარა, რომ აეროპორტში ცეცხლი ნამდვილად გაჩნდა.

ამასთანავე, სირიის მთავრობა აცხადებს, რომ ჩამოგდებული თვითმფრინავი ამასთან არავითარ კავშირში არ არის და ხანძარი ელექტროსადენებს გაუჩნდა. ირანის მთავრობა აღნიშნულ ფაქტზე ჯერჯერობით განცხადებას არ ავრცელებს.

შეგახსენებთ, რომ სირიელმა მეამბოხეებმა არაერთხელ განაცხადეს, რომ ირანულ სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავებს დამასკოში რეგულარულად გადააქვთ იარაღი. აღნიშნულ განცხადებას ოფიციალური თეირანი და დამასკო უარყოფს.

თურქულ მედიაში კი გავრცელდა ინფორმაცია, რომ ქვეყნის ხელისუფლებამ 28 მარტს პოლიციასთან წინააღმდეგობის გაწევის გამო ქვეყნიდან 60 სირიელი ლტოლვილის დეპორტაცია მოახდინა, რომლებიც სირია-თურქეთის საზღვართან არსებულ ბანაკებში ცხოვრობდნენ.

თურქულ სააგენტო „დოღანის“ ცნობით, სირიელების ბანაკში ხანძარი გაჩნდა, რასაც პატარა გოგონა ემსხვერპლა. იმავე დღეს კი ბანაკის მცხოვრებლებმა თურქეთის ხელისუფლების უმოქმედობა გააპროტესტეს, რაც პოლიციასთან დაპირისპირებაში გადაიზარდა.

„გარდიანის“ ცნობით, ანკარა ბანაკებიდან სირიელების გაძევებას უარყოფს. ინციდენტს კი გაეროს ლტოლვილთა სააგენტო იძიებს.

## ასტროპროგნოზი

### 30 მარტი – წარმატებული დღეა

**ვერძი** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **კურო** — სახლში დიდი სიხარული გელით. **ტყუპები** — გზიდან ფულსა და საჩუქარს მიიღებთ. **კირჩხიბი** — მოაწყვეთ განტვირთვის დღე, მიიღეთ ხილი და ბოსტნეული. **ლომი** — ფული გაქვთ, პრობლემები არ გაწუხებთ. **ქალწული** — იმიჯის შეცვლა არ გაწყენთ, იფიქრეთ ამაზე. **სასწორი** — მოაწყვეთ განტვირთვის დღე, მიიღეთ ხილი და ბოსტნეული. **ღრიანკალი** — ახალ ცხოვრებას იწყებთ და გიხარიათ. **მშვილდოსანი** — კარგ საქმეს აკეთებთ და განაგრძეთ. **თხის რქა** — თავს იცავთ და არავის დაეჩაგვრინებით. **მერწყული** — ჰარმონიული დღეა, ყველა საქმე გამოგდით. **თევზები** — ფულის პრობლემა არ გაქვთ და არც სხვა რამ გაწუხებთ.

### 31 მარტი – ეს დღე მშვიდად გაატარეთ

**ვერძი** — მოერიდეთ კონფლიქტურ სიტუაციას, ასე აჯობებს. **კურო** — ფული არ გაქვთ, მაგრამ მალე გექნებათ. **ტყუპები** — არ აჰყვეთ პროვოკაციას, არ არის საჭირო. **კირჩხიბი** — თქვენი საქმე კარგად მიდის, მაგრამ მაინც ფრთხილად იყავით. **ლომი** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ქალწული** — არავის ენდოთ, საკუთარი თავის გარდა. **სასწორი** — სახლში სიხარულია, დიდი ხნის ნატვრა აგისრულდებათ. **ღრიანკალი** — ფული გაქვთ, პრობლემას ადვილად მოუგრეხთ კისერს. **მშვილდოსანი** — კითხვებზე პასუხებს ეძებთ, მალე იპოვით. **თხის რქა** — რომანტიკული თავგადასავალი კარგ ხასიათზე დაგაყენებთ. **მერწყული** — მოერიდეთ რთული სიტუაციების გაანალიზებას. **თევზები** — შეხვედრაზე არ დაიგვიანოთ, თორემ უფროსობა განაწყენდება.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## ჩრდილოეთ კორეა აშშ-ს ემუქრება

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ლიდერმა კიმ ჩენ ინმა შეიარაღებულ ძალებს სამხრეთ კორეასა და წყნარ ოკეანაში არსებულ ამერიკულ სამხედრო ობიექტებზე დარტყმის განხორციელებისთვის მზადყოფნა დაავალა.

ამის შესახებ ინფორმაციას უცხოური მედია ავრცელებს. უმაღლესმა მთავარსარდალმა სტრატეგიული სარაკეტო ჯარების



ტექნიკური მომზადებისა და მოწინააღმდეგის მხრიდან პროვოკაციის შემთხვევაში, ამერიკულ სამხედრო ბაზებზე დარტყმის განხორციელების შესახებ საბოლოო გეგმას მოაწერა ხელი. აღნიშნული გადაწყვეტილება კიმ ჩენ ინმა მას შემდეგ მიიღო, რაც აშშ-მა სამხრეთ კორეაში არსებულ ბაზაზე ორი სტრატეგიული ბომბდამშენი გაგზავნა, რომელთაც ბირთვული დარტყმის განხორციელება შეუძლიათ. ვაშინგტონში აცხადებენ, რომ აღნიშნული ბომბდამშენები სწავლებაში მონაწილეობის მისაღებად გაიგზავნა. პხენიანმა აღნიშნული გადაწყვეტილება პირდაპირ სამხედრო მუქარად მიიღო.

კორეის ნახევარკუნძულზე ვითარება მას შემდეგ დაიძაბა, რაც თებერვალში კორეის სახალხო დემოკრატიულმა რესპუბლიკამ ბირთვული იარაღი მესამედ გამოსცადა. ამასთან დაკავშირებით, გაეროს უშიშროების საბჭომ ქვეყნის წინააღმდეგ მკაცრი სანქციები შემოიღო. ცოტა ხნის წინ კი, სამხრეთ კორეამ და ამერიკამ ახალი სამხედრო გეგმას მოაწერეს ხელი. ოფიციალური პირების განცხადებით, ახალი გეგმის თანახმად ჩრდილოეთ კორეის მხრიდან ნებისმიერი თავდასხმის შემთხვევაში ქვეყნები ერთმანეთს დაეხმარებიან.

ამერიკა, როგორც ცნობილია, ამ დროისათვის სამხრეთ კორეას „ბირთვული ქოლგის“ ქვეშ დახმარებას სთავაზობს, თუმცა როგორც ცივი ომის ექსპერტები აღნიშნავენ, ეს ომის შემთხვევაში სამხედრო დახმარებას გულისხმობს და მცირე დონის ინციდენტები არ არის გათვალისწინებული. ახალი გეგმის მიხედვით კი სამხრეთ კორეას ამერიკის დახმარების თხოვნა მაშინაც შეეძლება, თუ მაგალითად ჩრდილოეთი სამხრეთ კორეის შორეულ კუნძულებზე გადაწყვეტს თავდასხმას.

„შეთანხმება ჩრდილოეთ კორეისაგან პროვოკაციებს აგვარიდებს“, — აცხადებს სამხრეთ კორეის თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელი კიმ მინ-სეოკი.

## ხოდორკოვსკი ბერეზოვკის სიკვდილის შესახებ: ძალიან მიმძიმს



„იუკოსის“ ყოფილმა ხელმძღვნელმა მიხაილ ხოდორსკოვსკიმ, რომელიც კარელიის კოლონიაში სასჯელს იხდის, რუს ოლიგარქ ბორის ბერეზოვსკის სიკვდილის გამო მწუხარება გამოთქვა.

„გადმომცემს რომ ბერეზოვსკი გარდაიცვალა. ჩვენ არასოდეს ვყოფლვართ მეგობრები, თუმცა ერთმანეთს ოც წელზე მეტია ვიცნობდით. ეს დიდ დროა. მძიმეა ჩემთვის იმის მოსმენა, რომ ბორია სამუდამოდ წავიდა. მას ძალიან უყვარდა ცხოვრება-ცდებოდა, ცოდავდა, ინანიებდა და კიდევ ცოდავდა. მე მასზე ხშირად ვბრაზდებოდი და დღეს ის უკვე ცოცხალი აღარ არის... ძალიან მიმძიმს... მშვიდად განისვენოს“, — საუბარია ხოდორკოვსკის წერილში, რომელიც მისი პრესცენტრის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა.

ცოტა ხნის წინ კი ლონდონში ბერეზოვსკის სიკვდილის საქმის ოფიციალური მოსმენა გაიხსნა. პირველ სხდომაზე ორი მოწმე დაიკითხა. პოლიციელმა, რომელმაც გარდაცვლილი ცხედარი დაათვალიერა სასამართლოს განუცხადა, რომ ის სააბაზანოს ოთახის იატაკზე ნახა, ყელზე კი მარყუჟი ეკეთა. მოწმის თქმით, თოკის ნაწილი სააბაზანოს „შტანგაზე“ ეკიდა. პოლიცია ამ დრომდე არ გამორიცხავს, რომ ბერეზოვსკი შესაძლოა მოკლული იყოს, თუმცა როგორც აცხადებენ ამის რაიმე დამადასტურებელი მასალა არ არსებობს. შეგახსენებთ, რომ 67 წლის ოლიგარქი გადრაცვლილი შაბათს საკუთარ სალხში იპოვნეს.

ლურჯი ნითელი ყვითელი შავი